როლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

წელიწადი მესამე.

კომუნისტი

ს კ კ
ცენტრალურ და ტფილისის
კომიტეტის
და სრ. საქ. მ., გ., წ. ა. და მაჭრ.
დეპ. საბ.
ცაკის ორგანო

რედაქცია
ტფილისი, რუსთაველის პროსპექტი № 24, მეორე სართული.

რედაქციაში საქმისთვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე გარდა კვირა-უქმე დღეებისა 2-დან 3 საათამდე.
ტელეფონ. ნომრები: რედაქტორის 14—76, მდივანის 10—58.

მთავარი კანტორა
ტფილისი, რუსთაველის პრ. № 24, ტელეფონი 14—76.

ხელის მოწერის თვიური ფასი: ქალაქში—1 მან. 50 კ. ქალაქს გარეშე მცხოვრებთათვის—1 მან. 60 კ. კოლექტ. ხელის მოწ. 1 მან. 20 კ. განცხადება 15 კ. ჩერვონცებით ნომპარელის სტრიქონი. სამგლოვიარო განცხადება 4 მან. ჩერვონცებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღიური

მთელ გერმანიაში კომუნისტური პარტია სასტიკ დევნას განიცდის.

ბურჟუაზიული პარტიები და სოციალ-დემოკრატები ძლიერ მოხარულნი არიან, რომ კომპარტიის წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიღებულია.

პოლონეთის კაბინეტი კრიზისს განიცდის. მოელიან კუჩარსკის და დმოვსკის გადადგომას.

ინგლისის პარლამენტში საარჩევნო კამპანიის დროს, ასკვიტი და სხვა ლიბერალები მოითხოვენ ს. ს. რ. კ. ცნობას.

№ 273 სამშაბათი, 27 ნოემბერი 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 1.000.000 მ. ნ. № 273

გაზ. „კომუნისტი"-ს კანტორისაგან

რუსთაველის პრ. № 24, მეორე სართული.

კანტორა აცნობებს ყველა ხელის მომწერლებს, რომ პირველ ნოემბრიდან გაზეთ „კომუნისტ"-ზე დაწესებულია ჩერვონცების ანგარიშით შემდეგი ფასები:

თვიური ხელის მოწერა ტფილისში შინ მიტანით	1 მ. 50 კ.
ქალაქს გარეთ მცხოვრებთათვის — —	1 მ. 60 კ.
კოლექტ. ხელის მოწერა მხოლოთ მუშებისათვის	1 მ. 20 კ.

„ჩირაღდანი"

დეკემბრის ორიდან იწყებს გამოსვლას „კომუნისტი"-ს ორკვირეული ლიტერატურული დამატება „ჩირაღდანი", რომელიც **დაურიგდება ხელის მომწერლებს უფასოთ.**

ჟურნალ „ნიანგი"-ს ფასები:

თვიურათ ყველასათვის — —	30 კ.
ცალკე ეგზემპლიარი — — —	15 კ.

დღეს, 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე შესდგება
რულიად საქართველოს ცაკის პრეზიდიუმის სხდომა
წევრების და კანდიდატების დასწრება სავალდებულოა.
ცაკის მდივანი ბ. სახაშვილი.

მტკიცე შტატების დაწესებისათვის

რამოდენიმეჯერ მოვახდინეთ ჩვენ ცდა დაწესებულებებსა და წარმოებებში მტკიცე შტატების დაწესებისა, ცდა საბჭოთა და სამეურნეო აპარატების მრავალრიცხოვანი პირადი შემადგენლობის შემოკლებისა, მაგრამ ამ მხრივ დღემდე მაინც და მაინც სასურველ შედეგებისათვის არ მიგვიღწევია.

დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეხლაც ჩვენს სახელმწიფო მრავალ დაწესებულებას და სამეურნეო ორგანოს ყავს გაცილებით მეტი რიცხვი მოსამსახურეებისა, ვინემ ამას საქმის ვითარება და მუშაობა მოითხოვს.

ამაში შეგიძლიათ დარწმუნდეთ, თუ ცოტა ხნით მაინც შეიხედავთ, მაგ., სახალხო კომისარიატებში, სადაც თანამშრომლები ხშირად უსაქმურად სხედან და „ბუზებს თვლიან".

დაახლოვებით ასეთივე მდგომარეობაა სამაზრო ორგანოებშიაც. უმთავრესად სამი გარემოება უშლიდა ხელს მაგარი შტატების შემოღებას, ანუ შესაძლებელ მინიმუმამდე დაყვანას.

პირველი: მმართველობის საბჭოთა სისტემა სრულიად ახალი მოვლენა, იყო პირველ ხანებში არ იყო მკაფიოდ გამორკვეული და განსაზღვრული სხვადასხვა ორგანოების ფუნქციები, მათი მუშაობის ფარგლები. ეს ხშირად იწვევდა დაახლოვებით ერთი და იმავე ფუნქციების შემსრულებელ პარალელურ ორგანოების დაარსებას, მოსამსახურეების ზედმეტი რიცხვის თავმოყრას დაწესებულებებში.

მეორე: თვით პროცესი სახელმწიფო და სამეურნეო აპარატების ორგანიზაციის თუ რეორგანიზაციისა გულისხმობდა გაცილებით უფრო მეტ მუშაობას და მოითხოვდა მეტ თანამშრომლებს, ვინემ საჭირო იყო შემდეგ, როცა ეს პროცესი დასრულდა და სახელმწიფოს ცხოვრება გარკვეულ კალაპოტში ჩადგა.

მესამე: უწყებათა მეთაურები ხშირად გადაჭარბებულ „საუწყებო პატრიოტიზმს" იჩენდნენ და ადვილად არ თანხმდებოდნენ თავიანთი დაწესებულებათა შტატების შემცირებაზე.

გაბერილი შტატების შენახვა მძიმე ტვირთად აწვებოდა ჩვენს ისედაც ღარიბ სახელმწიფო სალაროს ამასთან ეს სრულებით არ იყო სასარგებლო მუშაობის ნორმალურად დაყენებისათვის.

საბჭოთა ხელისუფლების ამოცანას შეადგენს შექმნას მარტივი, მოქნილი და ამავე დროს იაფი აპარატი.

სახელმწიფო აპარატის უშუალო დაახლოვებაზე ხალხთან ჩვენ ბევრი ხანია ვლაპარაკობთ. აგრეთვე უკიდურესი მომჭირნეობა, ხარჯის მაქსიმალური ეკონომია დღის წესრიგშია დასმული.

ეს პრინციპები სავსებით უნდა გავატაროთ ჩვენს სახელმწიფო აპარატში.

ამ ამოცანის გადაჭრა აწევს იმ საშტატო კომისიას, რომლის შესახებ ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დადგენილება გამოქვეყნებული იყო ჩვენი გაზეთის № 271-ში.

ამ დადგენილების მიხედვით, შრომის კომისარიატთან არსებობს რესპუბლიკის საშტატო კომისია, რომელშიაც შედიან წარმომადგენლები შრომის კომისარიატის, ფინსახკომის რწმუნებულის სამმართველოსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოსი და პროფკავშირთა საბჭოსი.

ამ კომისიას ევალება როგორც ცენტრალური, ისე ადგილობრივი, დაწესებულება-წარმოებათა მტკიცე შტატების პროექტის შემუშავება, არსებული შტატების შესაცვლელად, აგრეთვე შტატის ნორმის დაწესების, პროცესში აღძრულ, ამასთან დაკავშირებულ საკითხების გადაჭრა; გარდა ამისა, კომისიის ვალდებულებას შეადგენს თანამდებობათა ნომენკლატურის განაწილება კვალიფიკაციის მტკიცე კატეგორიებ შორის, ამა თუ იმ თანამდებობის ფუნქციის მიხედვით.

დიდად საყურადღებოა ჩვენს პირობებში ეს კვალიფიკაციის საკითხი, რომელიც შეიცავს აგრეთვე ე. წ. სპეცების საკითხს.

როგორც ამას წინედაც იყო აღნიშნული ჩვენს გაზეთში, „სპეცები" ძალიან გამრავლებულია წარმოებებსა და საფინანსო კომერციულ დაწესებულებებში. ვინ არ გინდათ აქ „სპეცი" არ იყოს: უბრალო მოანგარიშეც, კანტორის ჩვეულებრივი თანამშრომელიც და სხვა ასეთები. ესენი, როგორც ვითომდა მაღალი კვალიფიკაციის წარმომადგენელნი, მაღალ ხელფას, სპეც. განაკვეთებს იღებენ.

ასეთ გაუმართლებელ ხელგაშლილობას ბოლო უნდა მოეღოს.

საშტატო კომისიამ ფიქტიური სპეცები დაუზოგველად უნდა შეკვეცოს, თვით სპეცები დაჰყოს ხარისხებად და განსაზღვროს მათი რიცხვი თითეულ წარმოება დაწესებულებისათვის.

საშტატო კომისიას რთული და დიდი მუშაობა აქვს შესასრულებელი.

მან უნდა შეისწავლოს ჩვენი წარმოება-დაწესებულებანი შრომის რაციონალური ორგანიზაციის თვალსაზრისით და ამის მიხედვით დააწესოს მტკიცე შტატები.

მუშა-მოსამსახურის რვა თუ ექვსი საათის სამუშაო დრო სავსებით უნდა იქნას დატვირთული და ერთხელ და სამუდამოდ მოისპოს ისეთი მდგომარეობა, როცა მოსამსახურეები ხშირად უსაქმოდ სხედან დაწესებულებებში და კერძო მუსაიფში ერთობიან.

ასეთი ღონისძიების გატარება საკმაოდ შეამცირებს სახელმწიფო ხარჯებს და საბჭოთა აპარატის მუშაობასაც გააჯანსაღებს.

პარტიის ამოცანების შესახებ

(გამოძახილი ამხ. ზინოვიევის წერილზე „პარტიის ახალი ამოცანები")

მეტათ სამწუხაროდ უნდა ჩაითვალოს ის გარემოება, რომ ამხ. ზინოვიევის ზევით დასახელებული წერილი (იხ. გაზ. „Правда" № 253, 7 ნოემბრის ნომერი), რომელსაც დიდი საზოგადოებრივი ინტერესი აქვს, ჩვენში დღემდის თითქმის სრულიად უყურადღებოთ დარჩენილა და ეს იმ დროს, როცა ბევრათ უფრო ნაკლები ყურადღების ღირს წერილებს, სტატიებს და შენიშვნებს უთმობენ ადგილს გაზეთებში. ამხ. ზინოვიევის წერილში საყურადღებო და საგულისხმიეროა ის, რომ იქ ავტორი კვლავ უბრუნდება და აყენებს ჩვენი პარტიის წინაშე ზოგიერთ ძველ ამოცანებს, რომლებიც მიუხედავათ იმისა, რომ იმათ შესახებ ჩვენ გვაქვს პარტიულ ყრილობის კატეგორიული დადგენილებები, დღემდის ისევ გადაუჭრელი დარჩნენ, ვინაიდან არ იქნა და არა, რომ ეს დადგენილებები ცხოვრებაში გატარებულიყვნენ.

ახლა ამხ. ზინოვიევი კვლავ იგონებს ამ ძველ ამოცანებს და მოუწოდებს ამხანაგებს გამოთქვან იმათ შესახებ თავიანთი აზრი და შეხედულება. თავის მხრით, პარტიის ცენტრალური ორგანო „პრავდა", სადაც მოთავსებულია ამხ. ზინოვიევის წერილი, აყენებს რა ყველა იქ აღძრულ საკითხებს სადისკუსიოთ, ენერგიულათ (усиленно) მოუწოდებს ამხანაგებს მიიღონ აქტიური მონაწილეობა ამ დისკუსიაში. ამ მხრით ცენტრალური ორგანო მიდის კიდევ უფრო შორს და დისკუსიაში მონაწილეობის მისაღებათ მოუწოდებს უპარტიო მუშებსაც. ყველაფრიდან ჩანს, რომ ამ შემთხვევაში სადისკუსიოთ გამოტანილია მეტათ არსებითი და მეტათ საყურადღებო საკითხები, რომელთაც ვერც ერთი პარტიული ამხანაგი, ვერც ერთი შეგნებული მუშა ან გლეხი გვერდს ვერ აუვლის.

აქედან თავის თავათ იგულისხმება, რომ თავდაპირველათ თვით ამხ. ზინოვიევის წერილი უნდა გახდეს როგორც პარტიული მასის, ისე ყველა შეგნებულ მუშებისა და გლეხებისთვის ხელმისაწვდომი, რისთვისაც ის დაუყოვნებლივ უნდა იქნას გადათარგმნილი ყველა ადგილობრივ ენებზე და დაბეჭდილი ყველა გაზეთებში. მაგრამ მარტო ეს არ კმარა. ყველა ადგილობრივ გაზეთებში უნდა გადმობეჭდილ იქნენ ზოგიერთი უფრო საყურადღებო წერილები და რეზოლიუციები, რომლებიც ამ საგანზე დაიბეჭდენ, თუ დაიბეჭდებიან მომავალში გაზ. „პრავდა"-ში, რა თქმა უნდა გარდა იმ წერილებისა და რეზოლიუციებისა, რომელთაც მხოლოდ ვიწრო ადგილობრივი ხასიათი ექნებათ. თავის თავათ იგულისხმება რომ ადგილობრივათ ამ დისკუსიამ რაც შეიძლება ფართო ხასიათი უნდა მიიღოს, რათა საბოლოოდ გამორკვეულ იქნენ ყველა ის საჭირბოროტო საკითხები, რომლებიც დღეს ისეე მწვავეთ წარმოიშვენ. სწორეთ ასეთი ხასიათი ეძლევა დღეს ამ დისკუსიას რუსეთში. ამიტომ ჩემ გაოცებას საზღვარი არ ქონდა, როცა გაზ. „ზარია ვოსტოკას" 20 ნოემბრის ნომერში (№ 267) მე წავიკითხე ამხ. რუბენის წერილი სათაურით „**პარტიის ახალი ამოცანების საკითხის შესახებ** („К вопросу о новых задачах партии"). ავტორი იხსენიებს ამხ. ზინოვიევის დასახელებულ წერილს; მისი სიტყვით, ზინოვიევს დაუდასტურებია იქ მხოლოდ შემდეგი ფაქტები: 1) პროლეტარიატის შემადგენლობა გაუმჯობესდა; 2) უპარტიო საშუალო მუშის კულტურული დონე მაღლა აიწია; 3) პარტიული მუშების რაოდენობამ იმატა; 4) არის შემთხვევები, როცა უპარტიო მუშები კულტურულათ მაღლა დგანან პარტიულ მუშებთან შედარებით; 5) პოლიტიკურათ კი პარტიული მუშები ყოველთვის სჯობნიან უპარტიო მუშათა მასას; 6) კულტურულათ გაზრდილ უპარტიო მუშას სურს მიიღოს უფრო აქტიური მონაწილეობა სამეურნეო ცხოვრებაშიო. ესაა და ეს ყოველივე ის, რაც ამხ. რუბენის გადმოცემით უთქვამს ამხ. ზინოვიევს თავის წერილში.

ვინც კი ამხ. ზინოვიევის წერილს წაიკითხავს, იგი დარწმუნდება იმაში, რომ ამხ რუბენს სრულებით უყურადღებოდ დაუტოვებია სწორედ ის, რაც ყველაზე უფრო მთავარი და ყველაზე უფრო საყურადღებო იყო და არის ამხ. ზინოვიევის წერილში.*)

დავიწყოთ ჯერ გარეგანი მხრიდან. როგორც ამხ. ზინოვიევი, ისე თვით ცენტრ. ორგანო—„პრავდა"—პარტიის შიგნით წამოჭრილ საკითხებს სადისკუსიოთ აყენებენ და ამასთანავე ენერგიულათ მოუწოდებენ ყველა ამხანაგებს გამოსთქვან ამათ შესახებ თავიანთი აზრი. განა შეიძლება ზინოვიევის წერილი და „პრავდა-"ს რედაქციის შენიშვნა წაიკითხო, და ამის შესახებ კრინტიც არ დაძრა? ჩვენის აზრით, ეს შეუძლებელია, მაგრამ ამხ. რუბენი, არ ვიცი რა მოსაზრებით, სრულებით არ თვლის საჭიროთ გააცნოს ეს მკითხველებს.

რაც შეეხება ამხ. ზინოვიევის თვით წერილის შინაარსს და იმ კითხვებს, რომლებიც იქ აღძრულია, ყოველსავე ამას ამხ. რუბენი აფუჩეჩებს და ხელს აფარებს.

ასე, მაგ., ამხ. ზინოვიევი თავის წერილში ამბობს, რომ „უკანასკნელ დროს პარტიაში ჩვენ ვამჩნევთ ზედმეტ სიწყნარეს (чрезмерный штиль), ზოგან პირდაპირ კრიზისს" (застой). შემდეგ აღნიშნავს რა უპარტიო საშუალო მუშის კულტურულ ზრდას და აგრეთვე იმ გარემოებას, რომ ზოგ შემთხვევაში იგი კიდევაც სჯობნის პარტიულ მუშას, ზინოვიევი დასძენს: „უპარტიო მუშების ფართო წრეების კულტურულ დონეს მაღლა აწევა შეიქნება ჩვენი პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლებისათვის უდიდესი ძლიერების წყაროთ, მაგრამ ეს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ რომ ჩვენ **თავის დროზე ანგარიშს გაუწევთ ამ უაღრესად საყურადღებო მოვლენას და შევსძლებთ მისგან საორგანიზაციო დასკვნების გაკეთებას.** წინააღმდეგ შემთხვევაში ეს ფაქტი შეიძლება გახდეს წყაროთ ბევრ გაუმჯობესებათა ჩვენსა და უპარტიო მუშებს შორის და **შეუძლია შექმნას ჩვენთვის, რამდენათაც ეს გაუგებარი არ იყოს პირველი შეხედვით, უდიდესი სიძნელენო**" (ხაზი ჩვენია. ფ. მ.)

მიუხედავათ იმისა, მართალია თუ არა ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებული ფაქტი—უპარტიო მუშათა მასის და პარტიულ მუშების განსხვავება კულტურულათ,—აქ აღძრულია მეტათ საყურადღებო საკითხი, მთელი პრობლემა, რომლის სისწორით გადაჭრას ჩვენთვის საარსებო, სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს. პარტიის ვერც ერთი წევრი, ვერც ერთი შეგნებული მუშა ან გლეხი, რომელიც დაინტერესებულია მუშურ გლეხური ხელისუფლების შენარჩუნებაში, გულგრილათ ვერ აუვლის გვერდს ასეთ საკითხებს. სამწუხაროდ, ასე არ იქცევა ამხ. რუბენი. პარტიული მასის უილაჯობის, უხალისობის, უსიცოცხლობის და ინტერესის გამოჩენის დასუსტების დასახასიათებლათ ამხ. ზინოვიევს მოყავს შემდეგი სიტყვები ერთი პასუხისმგებელი ამხანაგისა, რომელიც სამეურნეო დარგში მუშაობს. აი რა უთქვამს ამ უკანასკნელს ამხ. ზინოვიევ სთვის: „როცა მე მივდივარ მოხსენების გასაკეთებლათ **სამეურნეო მუშაობაზე პარტუჯრედის წევრების კრებაზე, მე მივდივარ თითქმის მოუმზადებლათ.** როცა კი მე მიხდება ასეთი მოხსენების გაკეთება **უპარტიოთა კრებაზე ან კონფერენციაზე,** მე ენერგიულად ვემზადები, ვინაიდან მე ვიცი, რომ იქ მე მომიმენ შეკითხვებს, რომ თითოეული წინადადების დაცვა მე უნდა შევძლო, რომ **აქ კრიტიკა იქნება სერიოზული**" და სხვ. მართალია თუ არა ეს ფაქტი? თუ მართალია, ნორმალურათ უნდა ჩაითვალოს ის თუ არა? და რით, ან რა მიზეზითაა გამოწვეული ასეთი ფაქტები? ამხ. რუბენი სდუმს ამის შესახებ, თითქო ასეთი საკითხი არც კი დაეყენებიოს ამხ. ზინოვიევს თავის წერილში. რაც შეეხება ამხ. ზინოვიევს, იგი ასეთ მდგომარეობას გადაჭრით სცნობს არანორმალურათ. იგი ამბობს: „რომ რამდენიმეთ დამაკმაყოფილებლათ გადავსჭრათ ზევით ნაჩვენები ამოცანები, რომ ღირსეულათ შევხვდეთ იმ საერთაშორისო ამბებს, რომლებიც ახლა მუდამ ჩვენ ყურადღებას იპყრობენ, საჭიროა, რომ პარტიის შიგნით ცხოვრება უფრო ინტენსიური შეიქნეს, საჭიროა, **რომ პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატიამ,** რომლის შესახებ ჩვენ ასე ბევრს ვლაპარაკობდით, **უფრო მეტათ შეისხას სისხლი და ხორციო**" (ხაზი თვითონ ამხ. ზინოვიევს ეკუთვნის ფ. მ.). მეორე ადგილას ამხ. ზინოვიევი კიდევ უფრო გადაჭრით ამბობს, რომ „აუცილებლათ უნდა გავატაროთ ცხოვრებაში პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატია (рабочая демократия), გავაძლიეროთ პარტიაში თავისუფალი დისკუსია პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვ. საკითხების ირგვლივ და სხვა. და ამიტომაც ერთი იმ ღონისძიებათაგანი, რომლებზედაც ამხ. ზინოვიევი ჩვენ გვითითებს, მდგომარეობს შემდეგში: „**სრულიად მკვეხარა სიტყვების გარეშე მუშათა დემოკრატიის პრინციპების ხელშეუხებლობის შესახებ, აუცილებლათ საჭიროა პარტიის შიგნით მუშათა დემოკრატიის გამოყენება საქმით — პარტიაში თავისუფალი დისკუსიის გაძლიერება პოლიტიკურ, სამეურნეო და სხვა კითხვებზე.** განსაკუთრებით ჩვენი პარტიის იმ წევრების ყურადღების მიპყრობა ამ კითხვებზე, რომლებიც პარტიის ქვედა ფენებს წარმოადგენენო".

ყველასათვის აშკარა უნდა იყოს, რომ თუ ამხ. ზინოვიევი პარტიის ცენტრალურ ორგანოში ასე აყენებს საკითხს, ალბათ სწორეთ ამ მუშათა დემოკრატიას ჩვენ პარტიაში ადგილი დღემდის არ აქვს. ამასთანავე აქედან აშკარათ ჩანს ისიც, რომ ჩამოვარდნილი არანორმალური მდგომარეობის გასაბათილებლათ, იგი აუცილებლათ თვლის უწინარეს ყოვლისა მუშათა დემოკრატიის განხორციელებას პარტიის შიგნით. ასევე ეხებიან და არკვევენ ამ საკითხს ყველა ის ამხანაგები რომლებიც დღემდის გამოეხმაურნენ ამხ. ზინოვიევის წერილის და გაზ. „პრავდა"-ს მოწოდებას. და განა სხვანაირათ შეიძლებოდა?

მაგრამ, როგორც ზევით ჩვენ ვთქვით, ასე არ მოიქცა ამხ. რუბენი, რომელსაც განუზრახავს ამხ. ზინოვიევის წერილის გაცნობა ჩვენი მკითხველებისთვის.

ამხ. რუბენი მთელ ყურადღებას აჩერებს მხოლოდ შედარებით მეორე ხარისხოვან გარემოებაზე, ე. ი. პარტიის წევრების **რაოდენობითი ზრდაზე;** ამას იგი ვერ შორდება; სხვა საკითხი მისთვის არ არსებობს. ეს, რა თქმა უნდა, არა მარტო გადამახინჯებაა ამხ. ზინოვიევის წერილის, რაც უფრო საყურადღებოა, ესაა თვით პარტიის არსებით ამოცანების მიფუჩეჩება. ამას უნდა მოეღოს ბოლო. პარტიის თითოეულმა წევრმა, თითოეულმა მუშამ და გლეხმა უნდა იცოდეს, რა ხდება პარტიაში, და ცხოველი და აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს მის ცხოვრებაში. უამისოთ ხომ პარტია არა თუ წინ ვერ გაუძღვება გართულებულ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ცხოვრებას, არამედ უკან ჩამორჩება მას, რა მდგომარეობასაც ითვალისწინებს თავის წერილში ამხ. ზინოვიევი.

ფ. მახარაძე.

---

*) როგორც ამხ. რუბენის წერილების სერიიდან სჩანს, ის შეეხება ამხ. ზინოვიევის მიერ წამოყენებულ კითხვებს ჩვენს პარტიულ სინამდვილესთან შეფარდებით, რადგან მას სპეციალურათ არ დაუსახავს მიზნათ (როგორც ამას ისეც მისი პირველი წერილიდან ვხედავთ) პოპულარიზაცია „პრავდა"-ში მოთავსებული წერილისა. ეს უკანასკნელი უკვე გადათარგმნილია და მას გამოვაქვეყნებთ ჩვენი გაზეთის უმახლობელს №-ში.

რედაქცია.

გერმანიის ამბები

(„ზაკროსტა"-ს ცნობები).

საფრანგეთის საოკუპაციო ჯარი აჯანყდა.

ახალი მთავრობის შედგენა ყოფილ დაევალა აღდგენის მინისტრს კუნოს კაბინეტში—ალბერტს.

კომპარტიის „დაშლის" გარშემო: ბურჟუაზიული ყველა გაზეთები და სოციალ-დემოკრატებიც ძლიერ მოხარულნი არიან, რომ კომპარტია განიცდის სასტიკ დევნას.

გერმანიის სხვადასხვა კუთხეებში გრძელდება კომუნისტების გაჩხრეკა და დატუსაღება,

კომპარტიის პასუხი: მთავრობის რეპრესიებზე კომპარტია არალეგალურად გამოსულ გაზეთში და რეიხსტაგის კომუნისტი დეპუტატები აცხადებენ, რომ კომპარტია შესძლებს საბჭოთა ხელისუფლების დამყარებას გერმანიაში.

აჯანყება საფრანგეთის საოკუპაციო ჯარში

რურის ოლქში.

ბერლინი 25 ნოემბ. რურის ოლქში მოხდა საფრანგეთის 148 და 64 ქვეითთა პოლკის ჯარისკაცთა აჯანყება. ჯარისკაცები განიარაღებული იქნენ. [illegible] მეამბოხენი საფრანგეთში გაიყვანეს. საფრანგეთის სარდლობა აჯანყებას ხსნის გერმანიის და საფრანგეთის კომუნისტურ პარტიების პროპაგანდით.

საფრანგეთის არმიის გამხრწნელ კომუნისტურ პროპაგანდის გამო საფრანგეთის ხელისუფლებამ დორტმუნდში, დუისბურგში, ბოხუმში და მორსში 80 კომუნისტი დააპატიმრა.

საფრანგეთის სამხედრო მინისტრმა მაჟინომ საოკუპაციო ოლქებში მგზავრობის დროს განაცხადა, რომ კომუნისტური პროპაგანდა სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს საფრანგეთის არმიისათვის.

კომპარტიის დევნა

კომპარტიას არ სძინავს.

ბერლინი. 25 ნოემბ. გამოვიდა კომპარტიის ახალი არალეგალური ცენტრალური ორგანო „რევოლუციის დროშა".

ზომები კომუნისტების წინააღმდეგ.

ბერლინი. 25 ნოემბ, ლეიპციგში რეიხსვერმა დაიკავა კომუნისტური ორგანოს „ზექსიშე არბეიტერ ცაიტუნგის" რედაქცია და სტამბა.

დრეზდენში, მიუხედავათ საქსონიის ლანდტაგის პრეზიდენტის პროტესტისა, სამხედრო ხელისუფლებამ მოახდინა ჩხრეკა ლანდტაგში და კონფისკაცია უყო კომუნისტურ ფრაქციის არქივს.

ბერლინში დაბეჭდეს კომპარტიის ცეკას, რაიკომების და ცალკე იაჩეიკების ბინები. კონფისკაციით ჩამორთმეულია დიდძალი მასალა. მოხდა 40 მეტი გაჩხრეკა პასუხისმგებელ პარტმუშაკების ბინებში.

„ფორვერტსი" განაგრძობს უსირცხვო პროვოკაციას კომპარტიის წინააღმდეგ აღნიშნავს რა, რომ უკანასკნელ კვირაში კომპარტიას ჩამოართვეს 20.000 ვინტოვკა და აღმოჩენილ იქნა იარაღის საწყობები.

ტიურინგიის ლანდტაგში.

ბერლინი. 25 ნოემბ. ტიურინგიის ლანდტაგში უკანასკნელი სხდომა მეტად მღელვარე იყო. კომუნისტებმა განაცხადეს სასტიკი პროტესტი კომპარტიის დაშლის და ლანდტაგის დეპუტატ-კომუნისტების ბინებზე მომხდარ ჩხრეკის წინააღმდეგ.

ლანდტაგის პრეზიდენტმა მიმართა სამხედრო სარდლობას თხოვნით შეეწყვიტოს ჩხრეკა. სამხედრო სარდლობამ ამაზე უარი განაცხადა. კომუნისტებმა წინადადება შეიტანეს ლანდტაგის დათხოვნის შესახებ.

„მეტის სიფრთხილით".

ბერლინი. 25 ნოემ. საქსონიაში და ტიურინგიაში რეიხსვერის ნაწილების თვითნებობის გახშირების გამო, რომელმაც გამოიწვია მცხოვრებლებთან შეტაკება, სექტმა გასცა ბრძანება „მეტის სიფრთხილით" აწარმოვონ დაპატიმრებანი ზედმიწევნით შეამოწმონ დაბეზღებათა სისწორე და ყოველ ცალკე შემთხვევაში შეეკითხონ სამოქალაქო ხელისუფლებას.

კომპარტიის „დაშლის" გამო.

ბერლინი. 25 ნოემ. ირკვევა, რომ კომპარტიის „დაშლა" დიდი ხანია მზადდებოდა შტრეზემანის მიერ, მაგრამ ნაწილობრივ საალყო წესების შემოღების გამო შტრეზემანი არ ჩქარობდა მიეღო აშკარა ზომები. თავდაპირველად სექტმა წინადადება მისცა ზევერინგს დაეშალა კომპარტია პრუსიაში. ზევერინგმა ეს უარყო და განაცხადა, რომ პრუსიის პოლიციას მოეპოვება საკმაო ძალები კომუნისტურ გამოსვლების შესაჩერებლად. მოულოდნელად სექტმა თვითონ მოახდინა განკარგულება კომპარტიის დაშლის შესახებ.

მუშების სულიერი განწყობილება მტკიცეა. „კომპარტიამ, ამბობენ მუშები, განიცადა ნოსკეს დევნა, იგი გაუძლებს სექტის დევნასაც".

მთელს გერმანიაში დაპატიმრებულია 8.000 კაცი.

კომპარტიის „დაშლის" გარშემო

უხარიათ.

ბერლინი. 25 ნოემბერი. ბურჟუაზიული პრესა ესალმება გენერალ სექტის განკარგულებას კომპარტიის დაშლის შესახებ.

„ფოსიშე ცეიტუნგ"-ი ხაზს უსვამს იმას, რომ თუმცა სექტის განკარგულება მოგვაგონებს ვილჰელმის ეპოქას, მაგრამ კომპარტია ბრძოლას აწარმოებს სახელმწიფოს წინააღმდეგ, და ამიტომ ამ უკანასკნელს უფლება აქვს თავი დაიცვას კომპარტიისაგან.

„ბერლინერ ტაგებლატ"-ი სექტის განკარგულებას მიზანშეუწონლად სთვლის, რადგან კომპარტიის არალეგალურ მუშაობაზე გადასვლის შემდეგ, სოციალ-დემოკრატებს საშუალება აღარ ექნებათ ებრძოლონ კომუნისტურ პროპაგანდას.

„ფორვერტს"-ი ამართლებს სექტის მოქმედებას და აღნიშნავს, რომ აუცილებელი იყო ენერგიულ ზომების მიღება, რადგან კომუნისტები ამზადებდენ გადატრიალებას. გაზეთი სურვილს გამოსთქვამს იმის შესახებ, რომ კომპარტიის წინააღმდეგ მიღებული ზომები გატარებულ იქნეს ცხოვრებაში არა რეიხსვერის, არამედ სამოქალაქო დაწესებულებების საშუალებით.

აგიტაცია-პროპაგანდის საქმეები

საქართველოს საგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა გამგეების თათბირის წინაშე სდგას, სხვათა შორის, საკითხი მშრომელი ინტელიგენციის შესახებ. ამ საკითხს დღეს ექცევა დიდი ყურადღება, რადგან ეს ინტელიგენცია (მასწავლებლობა და სხვ.) დიდ საზოგადოებრივ ფუნქციებს ასრულებს.

ინტელიგენციაში მოხდა ერთნაირი გარდატეხა. ის აღარ უწევს დღეს სასტიკ წინააღმდეგობას საბჭოთა ხელისუფლებას, რადგან დარწმუნდა, რომ ეს ბრძოლა ნაყოფს არ გამოიღებს. ინტელიგენცია თანდათან პირს იბრუნებს ძველი ქვეყნისაგან, სწყვეტს მასთან კავშირს და გვერდში უდგება საბჭოთა მთავრობას. საჭიროა ამ ინტელიგენცის (იგულისხმება მშრომელი ინტელიგენცია) მიექცეს მეტი ყურადღება და ჩაბმულ იქნას ის საბჭოთა აღმშენებლობაში. **სოფლის მასწავლებელი, რომელიც გულწრფელათ ასრულებს თავის დანიშნულებას, ეწევა კულტურულ მუშაობას გლეხობაში, არის გამტარებელი საბჭოთა პოლიტიკის.** აი ეს მასწავლებლობა უნდა დავიახლოვოთ და ჩავითრიოთ მუშაობაში.

თათბირზე ანგარიშით წარსდგება აგრეთვე თავისი მუშაობის შესახებ სახალხო განათლების კომისარიატი. ამას აქვს დიდი მნიშვნელობა კომისარიატის მუშაობის ნაკლის გამორკვევაში (თუ ასეთი არის) და მომავალი ამოცანების დასახვაში.

თათბირმა სერიოზულათ უნდა დასვას საკითხი უმაღლესი სასწავლებლების შესახებ. ამ მხრივ უკანასკნელ ხანებში გატარდა ზოგიერთი საჭირო ღონისძიებანი, მაგრამ ეს საკმარისი არ არის. ჩვენს სახელმწიფო უნივერსიტეტზე, მაგალითად, დღესაც ძლიერია ბურჟუაზიული იდეოლოგიის ზეგავლენა. მარქსისტულ მსოფლმხედველობას ჯერ არ დაუპყრია უნივერსიტეტის მეცნიერება.

თუ პროფ. ჩელპანოვი ამბობდა რუსეთში, რომ რუსეთი მარქსიზმის იდეური გეგემონიის ქვეშ არისო, ასე არ შეიძლება ჯერ ითქვას საქართველოზე. აიხსნება ეს პროფესსურის არამარქსისტული შემადგენლობით. ჩვენი საუკეთესო მარქსისტები აუარებელი სამუშაოთი არიან დატვირთული და არ შეუძლიათ ლექციების სისტემატიური კითხვა. იგულისხმება აქ უმთავრესათ სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტი.

საჭიროა ტეხნიკუმებზედაც მარქსისტულ ზეგავლენას მიექცეს შესაფერი ყურადღება. საუკეთესო ადგილობრივი მარქსისტი ამხანაგები მიმაგრებულ უნდა იქნენ ტეხნიკუმზე პოლიტიკური ცოდნის მისაცემათ.

თათბირის დღის წესრიგში დგას აგრეთვე მოხსენება მთავარი პოლიტიკური განათლების სამმართველოსა. ეს კომუნიზმის სახელმწიფოებრივი პროპაგანდის დაწესებულება ეხლა გადახალისებულია და თან ფუნქციებიც განსაზღვრული.

პრესის საკითხს უნდა მიაქციოს თათბირმა შესაფერი ყურადღება. დროა დაძლეულ იქნას მრავალი ამხანაგების პასსივობა პრესისადმი. პრესის გაუმჯობესება თვისების მხრივ — აი რა უნდა გახდეს ერთ-ერთი ჩვენი მთავარ ამოცანათაგანი. უმჯობესია მცირე რიცხვი გაზეთებისა და შესაფერათ დაყენებული. ჩვენი ზოგიერთი გაზეთები კი მხოლოდ ზოგიერთი წერის მოსურნე ამხანაგების ვარჯიშობის ასპარეზი იყო. ამ მოვლენას ამ ბოლო ხანებში ბოლო მოეღო. გაზეთების რიცხვი შემცირებულია.

თუ ჩვენ შევსძლებთ ყველა არსებულ გაზეთების თავის დონეზე დაყენებას, ამით ადვილათ მიუახლოვდებით მათი გავრცელების საკითხის გადაწყვეტასაც. ჟურნალ-გაზეთების გავრცელება, ეს მეორე დიდი ამოცანა იქნება, რომელიც უნდა გადასწყვიტოს ჩვენმა პარტიამ. ჟურნალი და გაზეთი მასსებს უნდა დავუახლოვოთ. ამ მასსებმა უნდა იპოვონ პასუხი მათი ცხოვრების მრავალ საჭირბოროტო საკითხებზე.

უნდა მოწესრიგდეს საკითხი გაზეთის გამოწერის და გავრცელების შესახებ. ახალი ეკონომიური პოლიტიკის პირობებში გაზეთმა უნდა შესძლოს თავისი საკუთარი მატერიალური საშუალებით არსებობა. გაზეთი დეფიციტს არ უნდა იძლეოდეს, **ის საკუთარ ფეხზე უნდა იდგეს.** ჩვენ გვაქვს მრავალი მაგალითები იმისა, რომ რუსეთში მთელი რიგი გაზეთებისა უდეფიციტო შეიქნა. როგორც ვთქვი, აქ მთავარია გაზეთის გავრცელების საკითხის მოგვარება.

ყოველ სოფლის და ქალაქის იაჩეიკაში უნდა იქნას გაზეთი გამოწერილი. ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებმა უნდა გაუწიონ დახმარება ჩვენს რედაქციებს ამ დიდ საქმეში, დიდი ინტერესით უნდა იქნას აგრეთვე მოსმენილი მოხსენებები ადგილებიდან. საჭიროა აქ არ ითქვას არც ერთი გადამეტებული სიტყვა. ამით მაზრების წარმომადგენლები გაეცნობიან ერთმანეთის მუშაობას.

როგორც ყველა ზემონათქვამიდან სჩანს, ჩვენმა თათბირმა ბევრი რამ უნდა გააკეთოს, ბევრი ამოცანები უნდა გადასწყვიტოს. ამიტომ მის მუშაობას მხოლოდ საქმიანი ხასიათი უნდა ექნეს. ცენტრალური ადგილი თათბირის მუშაობაში ექნება პოლიტიკური უცოდინარობის მოსპობის საკითხს. ზოგიერთ ადგილას ჩვენ დიდი რიცხვი გვყავს პოლიტიკური უცოდინარების. მარტო ტფილისის ორგანიზაციამ მოგვცა 73 პროც. სრულიად მოუმზადებელი და მცირე ცოდნის ამხანაგებისა. იყო შემთხვევები, როდესაც შეკითხვებზე ვღებულობდით ასეთ პასუხს. (მოგვყავს ბევრ სხვა მსგავს მაგალითებიდან ერთი).

შეკითხვა: რამდენი ინტერნაციონალია სულ?

პასუხი: მეორე, მესამე, ორნახევარი ინტერნაციონალი, ამსტერდამის ინტერნაციონალი, წითელი ინტერნაციონალი, კომუნისტური ინტერნაციონალი და, რაც მთავარია, ჰიმნი „ინტერნაციონალი". ესეთი ფაქტები იყო. ეს გამოგონილი არ არის. ყოველ ჩვენმა ამხანაგმა დღეს იმაზე უნდა იზრუნოს, რომ აამაღლოს თავისი პოლიტიკური ცოდნა, შეითვისოს ყოველივე ის, რაც უნდა მოეთხოვოს მომავალ საზოგადოებისათვის შეგნებულ მებრძოლებს.

ქ. ორაგველიძე.

საჩივართა ბიურო და ინსპექციის მუშაობა

მუშათა და გლეხთა ინსპექციის ერთ-ერთ უმთავრეს ამოცანას მისი რეორგანიზაციის შემდეგ შეადგენს მართვა-გამგეობის მომქმედ ორგანოების ნაკლთა და ღირსებათა გამოაშკარავება და მართველობის საქმის გასაუმჯობესებლად პრაქტიკულ ღონისძიებათა ცხოვრებაში გატარება. ასეთ ამოცანას მუშათა და გლეხთა ინსპექცია ზედმიწევნით შეასრულებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თავის მუშაობაში ის ჩააბამს მუშათა და გლეხთა ფართო მასებს, რომლებიც განსაკუთრებით მგრძნობიერად ამჩნევენ ადმინისტრატიულ აპარატის ნაკლებს და თანამდებობის პირთა დაუდევრობას მშრომელთა ინტერესებისადმი. მიმართავს რა თავის მუშაობას უკანასკნელების სასარგებლოდ და ისახავს რა მიზნად გახდეს მუშურ-გლეხური ხელისუფლების ნამდვილი ორგანო და ამ ხელისუფლების ღონისძიებათა გამტარებელი, მუშათა და გლეხთა ინსპექციამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია ამ ჟამად მშრომელთა მასებში სახელმწიფოებრივ აპარატთან დაახლოვების იდეის განვითარებას და განმტკიცებას, რათა თვითეული მუშა და გლეხი გაიმსჭვალოს იმ აზრით, რომ მის საჩივარს მმართველობის ტეხნიკის ნაკლულოვანებათა და მისი ინტერესების დავიწყების შესახებ, ზედმიწევნით განიხილავს მუშათა და გლეხთა ინსპექცია და თუ საჩივარი საფუძვლიანი აღმოჩნდება, აუცილებლად იქნება მიღებული სათანადო ღონისძიებანი.

ამასთანავე, მუშათა და გლეხთა ინსპექცია მიზნად ისახავს ყურადღებით მოეპყრას მშრომელთა ამგვარ საჩივრებს მუშური პრესის ფურცლებზედაც, იმუშაოს უკანასკნელთან სრულ კონტაქტში მართველობის საქმის ნაკლთა გამოსასწორებლად და ფართოთ გაავრცელოს მისი საშუალებით აზრი, რომ საჭიროა მუშების და გლეხების დაახლოვება მუშათა და გლეხთა ინსპექციის შემადგენლობაში სპეციალურად მოწყობილ მშრომელთა საჩივრების და განცხადებათა განმხილველ აპარატის—საჩივართა ბიუროს მუშაობასთან. უკანასკნელი, იტოვებს რა თავის ხელში კერძო ინიციატივას კანონის და მისი განხორციელებით მიღწეულ შედეგების გამოყენების მიზანშეწონილების საკითხში, წარმოადგენს დაწესებულებას, სადაც შედიან საჩივრები და განცხადებები, რომლებიც ეხებიან სახელმწიფოებრივ ორგანოების და სხვადასხვა თანამდებობის პირთა მიერ გამოჩენილ ბიუროკრატიზმს, უხეშად მოპყრობას და მშრომელთა ინტერესებისადმი დაუდევრობას. აძლევს რა ამგვარად მცხოვრებლებს საშუალებას თავისუფლად დაიჭირონ საქმე ხელისუფლებასთან საჩივართა ბიურო ხელს უწყობს მისი პრესტიჟის გაძლიერებას. და მუშათა და გლეხთა ინსპექციის მიერ ინიციატივის გამოჩენას საკანონმდებლო განკარგულებათა შეცვლის, დამატების და გაუქმების საქმეში და სახელმწიფო აპარატის არა მარტო საორგანიზაციო ნაწილის შეცვლის არამედ თანამშრომელთა შერჩევის მხრივაც. ბუნებრივია ამიტომ, რომ ბიუროს მუშაობას, იხილავს რა იგი საზოგადოებრივ-უფლებრივ ხასიათის განცხადებებს, რომლებიც შეიცავენ არა წვრილმან, კერძო ინტერესების დარღვევას, არამედ ისეთი ინტერესებისას, რომლებიც დაკავშირებულია სხვადასხვა დაწესებულებათა და მთელი სახელმწიფოებრივ აპარატის მოღვაწეობასთან, ეძლევა ფართო საზოგადოებრივი ხასიათი და ეს ხასიათი კიდევ უფრო ღრმავდება მმართველობის ტეხნიკის ნაკლთა გამომჟღავნების საქმეში პრესის გარდა, პროფესიონალურ და პარტიულ ორგანიზაციების ჩაბმით. საჩივართა ბიურომ უნდა იქონიოს უკანასკნელებთან მჭიდრო და მუდმივი კავშირი და მოუწოდოს მათ თავის მხრივ გააშუქონ ბიუროს მიზნები და ამოცანები, ხელი შეუწყონ მუშათა და გლეხთა ინსპექციაზე დაკისრებულ ამოცანების განხორციელების საქმეში მშრომელთა მონაწილეობას და დაუყოვნებლივ გამოგზავნონ ბიუროში ისეთი საჩივრები და განცხადებები, რომლებიც მუშათა და გლეხთა ინსპექციის აინტერესებს. მცხოვრებლებთან უშუალო კავშირის დაჭერის გამო, ბიუროს არ შეუძლია უარი უთხრას მათ კანონის სათანადო განმარტებაზე, არის რა იგი ამავე დროს ნაწილობრივ იურიდიულ კონსულტაციის ორგანო, რომელიც თავის მოღვაწეობას უკავშირებს სახალხო კომისარიატის საიურისკონსულტო ნაწილის მუშაობას.

ასეთი კონსტრუქცია და მუშაობის მეთოდები გახდიან საჩივართა ბიუროს საბჭოთა აპარატის დაკვირვებათა განსაზოგადოების და სისტემატიზაციის ცენტრად და ხელს შეუწყობენ ყველაზე უფრო არსებით და პრაქტიკულ ღონისძიებათა გამომუშავებას.

დ. ქუდიევი.

— ოფიციალურ ცნობაში კომპარტიის დაშლის შესახებ ნათქვამია, რომ კომპარტიამ, თითქოს, თავის თავზე მიიღო ვალდებულება კომინტერნის წინაშე იმის შესახებ, რომ მოეხდინა გერმანიაში სახელმწიფო გადატრიალება; კომპარტია სცდილობდა მთავრობის ჩამოგდებას, ის აგიტაციას ეწეოდა საერთო გაფიცვისა, მუშების შეიარაღებისა და პროლეტარულ რაზმების დაარსების სასარგებლოთ. ოფიციალური ცნობა აღნიშნავს, რომ კომპარტიამ მოაწყო აჯანყება ჰამბურგში; ცნობა ეყრდნობა რა ბრანდლერის განცხადებას, ამტკიცებს, რომ კომპარტია ამზადებდა შეიარაღებულ აჯანყებას საქსონიაში და ტიურინგიაში.

—კომუნისტებმა რეიხსტაგში შეიტანეს წინადადება სექტის განკარგულების დაუყოვნებლივ გაუქმების შესახებ; მათ მთავრობას მოსთხოვეს განმარტება ამ საქმის შესახებ და მოითხოვეს აგრეთვე საკითხის დაუყოვნებლივი განხილვა რეიხსტაგში. ბურჟუაზიულმა პარტიებმა და სოციალ-დემოკრატებმა უარყვეს კომუნისტების წინადადება. ჰესლერმა განაცხადა, რომ კომპარტიისა და აგრეთვე ფაშისტურ პარტიების დაშლა გამოწვეულია იმით, რომ მათ განზრახული ჰქონდათ მთავრობის ჩამოგდება. მემარცხენე სოციალ-დემოკრატებმა კურტმა და როზენფელდმა პროტესტი განაცხადეს კომპარტიის დაშლის წინააღმდეგ. როზენფელდის სიტყვის დროს ტრიბუნიდან გაისმა ხმა: „მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლიათ გაუმკლავდეთ კომუნისტებს“. თავმჯდომარემ წინადადება მისცა როზენფელდს დაეტოვებია ტრიბუნა, რაზედაც მან განაცხადა, რომ აკრძალვით შეუძლებელია კომუნისტურ მოძრაობასთან ბრძოლა; როზენფელდი მოითხოვდა განკარგულების გაუქმებას.

კომპარტიის პასუხი

კომპარტია იარაღს არ დაჰყრის

ბერლინი. 25 ნოემბ. იცავდა რა წინადადებას სექტის განკარგულების გადასინჯვის შესახებ, კომუნისტმა დეპუტატმა ფრელიხმა განაცხადა, რომ კაპიტალისტური ხელისუფლება ვერ მოახერხებს შეუბორკოს ხელები პროლეტარიატს. კომპარტიის დაშლა, ორატორის სიტყვებით, თვალს აუხელს გერმანიის პროლეტარიატს და დაანახვებს მას, თუ რომელი პარტია უფრო იცავდა მის ინტერესებს. კომპარტიის დაშლით სამხედრო დიქტატურამ დაიწყო სამოქალაქო ომი. კომუნისტები აცხადებენ, რომ ისინი მოუწოდებენ მუშებს გააფთრებულ ბრძოლისაკენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. პროლეტარიატის იმედები თავმოყრილია კომპარტიის გარშემო. ფრეილიხმა წაიკითხა კომპარტიის დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია, რომ გერმანიის პროლეტარიატისათვის სასაცილოა მხოლოდ გენერალ სექტის განკარგულება. პარტიას, გერმანიის ხალხის მომავალის ინტერესებისათვის, აუცილებლათ მიაჩნია სექტის სამხედრო დიქტატურის დამხობა. სოციალ-დემოკრატების წინაშე საკითხი პირდაპირ არის დასმული; მუშათა კლასთან ერთად, თუ მის წინააღმდეგ. დასასრულ ფრელიხმა განაცხადა: „ჩვენ არ დაუცდით სამხედრო დიქტატურის კრახს, ჩვენ დავაჩქარებთ პროლეტარიატის გამოსვლას. გაუმარჯოს კომუნისტურ პარტიას და კომუნისტურ ინტერნაციონალს“. ფრელიხის შემახილს მხარი დაუჭირეს დანარჩენმა კომუნისტ-დეპუტატებმა.

— კომუნისტური ორგანო „ფოლკსბოტე“ სწერს: „შტრეზემანმა რეიხსტაგში განაცხადა ბურჟუაზიისა და აგრეთვე სამხედრო სარდლობის დიქტატურის გაკოტრების შესახებ. გერმანიის კომუნისტურმა პარტიამ იცის, რომ ერთად-ერთი გამოსავალი შექმნილი მდგომარეობიდან არის საბჭოთა ხელისუფლებისა და პროლეტარიატის დიქტატურის გამოცხადება გერმანიაში. გერმანიის კომპარტია ანგარიშს არ გაუწევს სექტის განკარგულებას, ის განაგრძობს ბრძოლას პურისა, თავისუფლებისა, მუშათა უფლებებისა, საბჭოთა გერმანიისა და საერთაშორისო რევოლიუციისათვის. უმძიმეს მომენტში გერმანიის კომპარტია ესალმება კომინტერნს, ის ღრმა პატივისცემის გრძნობით იგონებს იმ რევოლიუციონურ მუშებს, რომელნიც უდიდეს მსხვერპლს იღებენ პარტიის ინტერესებისათვის; კომპარტია პირობას სდებს, რომ ის მტკიცეთ განაგრძობს დაწყებულ ბრძოლას და მას მაღლა ეჭირება ყოველთვის საერთაშორისო რევოლიუციის დროშა; კომპარტია მოახერხებს საბჭოთა ხელისუფლების გამოცხადებას გერმანიაში. გერმანიის კომპარტია ცოცხლობდა წარსულში, ის ცოცხალი იქნება მომავალშიც და ბრწყინვალეთ იბრძოლებს რეაქციის წინააღმდეგ მუშების შეიარაღებისა, ფაშიზმის დამხობისა და პროლეტარიატის დიქტატურისათვის“.

„ეძებენ“ ახალ კანცლერს

შტრეზემანის კაბინეტის გადადგომის შესახებ.

ბერლინი. 25 ოქტომბერი. შტრეზემანის კაბინეტისადმი ცენტრისა და სახალხო პარტიის მიერ შეტანილ ნდობის ვოტუმის წინააღმდეგ ხმა მისცეს ნაციონალისტებმა, ტევტონურმა პარტიამ, ესდეკებმა და კომუნისტებმა.

20 ესდეკი, მათ რიცხვში პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი ზევერინგი და აგრეთვე სახალხო პარტიის სტინესის ჯგუფი არ გამოცხადდენ ხმის მიცემის დროს. კენჭის ყრაში მონაწილეობა მიიღეს ცენტრმა, დემოკრატებმა და სახალხო პარტიამ.

შტრეზემანის მემკვიდრეები

ბერლინი. 25 ნოემბერი. კანდიდატებათ რეიხსკანცლერის თანამდებობაზე ასახელებენ კუნოს მთავრობის ყოფილ მინისტრს ალბერტს, უპარტიოს, რომელიც ემხრობა დემოკრატებს და აგრეთვე ვიურტემბერგის პრეზიდენტს დემოკრატ მიუბერს.

საღამოს გაზეთების აზრით არის ორი გზა მთავრობის კრიზისის გადასაჭრელად: ან უნდა შედგენილ იქნეს საქმიანი კაბინეტი, რომლის მეთაურები იქნებიან ალბერტი და სექტი ჰესლერის მაგიერ, ან ბურჟუაზიული ბლოკი, რომლის სამინისტროში შეყვანილი უნდა იქნენ ნაციონალისტები და შტრეზემანი — გარეშე საქმეთა მინისტრის თანამდებობაზე.

პოლიტიკურ წრეებში შტრეზემანის დაცემას და ამის გამო შექმნილ მდგომარეობას უყურებენ, როგორც გერმანიის პარლამენტარიზმის კრიზისს. ვერც ეხლანდელი შემადგენლობის რეიხსტაგი, ვერც ხელახლა არჩეული რეიხსტაგი ვერ შექმნის მტკიცე პარლამენტარულ მთავრობას. სოციალ-დემოკრატები მოითხოვენ დემოკრატებისა და ცენტრისაგან აშკარა გადაწყვეტილებას: იხრებიან ისინი მარჯვნით თუ მარცხნით: სოციალ-დემოკრატები ხაზგასმით აღნიშნავენ, რომ მზათ არიან შევიდენ მთავრობის კოალიციაში, რაც იწვევს ოპოზიციას სოციალ-დემოკრატიული პარტიის მემარცხენე ფრთის მხრივ.

დემოკრატები აშკარათ ეწინააღმდეგებიან კოალიციის მემარჯვენე პარტიებთან, განსაკუთრებით ნაციონალისტებთან. ცენტრს ჯერ-ჯერობით იგივე პოზიცია უჭირავს. სახალხო პარტიის სტინესის ფრთა დაჟინებით მოითხოვს ისეთი მთავრობის შექმნას, რომელიც უნდა ემყარებოდეს პარლამენტის ნდობაზე. ცხადია, ნაციონალური პარტია არ ფიქრობს ამჟამად დაუყოვნებლივ გამარჯვებაზე და ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მთავრობის კრიზისის გადაჭრა დროებითია, და რომ მომავალში „ნაციონალური მთავრობის“ ხელისუფლება აუცილებელია.

„დოიჩე ცეიტუნგი“ მოითხოვს მთავრობის შექმნას სექტის მეთაურობით, თუ დაუყოვნებლივ გაუქმებული იქნება ბრძანება ტევტონური პარტიის დაშლის შესახებ.

ცენტრის პარტიის წინადადებით, ებერტმა კაბინეტის შედგენა მიანდო კარდორფს, სახალხო პარტიის წევრს, რომელიც წინად იყო „დამოუკიდებელი კონსერვატორი“. კარდორფს ჯერ კიდევ არ მიუღია პრეზიდენტის წინადადება და მოითხოვა დრო დასაფიქრებლად. მან უკვე დაიწყო მოლაპარაკება პარტიების ლიდერებთან. ფიქრობენ, რომ კარდორფი შეადგენს კაბინეტს ცენტრის, სახალხო პარტიის, დემოკრატების, ბავარიის სახალხო პარტიის და ნაციონალური პარტიის წარმომადგენლებისაგან. ასეთი მთავრობის პოლიტიკა მიმართული იქნებოდა მემარცხენე პარტიების წინააღმდეგ.

ნაციონალისტები ეწინააღმდეგებიან კარდორფის კანდიდატურას, ამიტომ უკანასკნელმა უარი სთქვა კაბინეტის შედგენაზე.

ცენტრი უარს ამბობს კანცლერის კანდიდატის წამოყენებაზე. სახალხო პარტია წინააღმდეგია ესდეკებთან თანამშრომლობის, ცენტრი და აგრეთვე დემოკრატები ეწინააღმდეგებიან ნაციონალისტებთან თანამშრომლობას.

შექმნილი მდგომარეობის გამო, ებერტს განზრახული აქვს რეიხსტაგის გაშვება.

ახალი მთავრობა.

ბერლინი. 26 ნოემბერი. ჯერ კიდევ არ არის შედგენილი ახალი მთავრობა. პრეზიდენტმა ებერტმა მიიღო სახალხო პარტიის წარმომადგენლები. ფიქრობენ, რომ ახალი მთავრობის შედგენა მიენდობა დელეგატ ფონ-კარდორფს, სახალხო პარტიის წევრს. როგორც სახალხო პარტია, ისე ცენტრი თანახმაა მთავრობის ამ გვარად შედგენის.

პარიზი. 26 ნოემბერი. რადგანაც ნაციონალისტებმა უარი განაცხადეს კარდორფისათვის მხარის დაჭერაზე, ებერტი ეძებს სხვა კომბინაციებს.

ახალი მთავრობა

ალბერტის მთავრობა.

ბერლინი, 26 ნოემ. კუნოს მთავრობაში გერმანიის აღდგენის ყოფილმა მინისტრმა ალბერტმა მიიღო ებერტის წინადადება ახალი მთავრობის შედგენის შესახებ. ალბერტისათვის გაგზავნილ წერილობით მიმართვაში ებერტი ამბობს, რომ კანონიერი მთავრობის შედგენის გადადება, გერმანიის ეხლანდელ აუტანელ მდგომარეობის დროს, არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება დაშვებულ იქნეს. მთავრობა შედგენილ უნდა იქნეს ღირსეულ პირებისაგან, რომლებიც მზათ არიან დაივიწყონ ყველა პირადი და პარტიული ანგარიშები ტანჯული გერმანიის გულისათვის.

მთავრობის წინააღმდეგ

რეიხსტაგის სხდომაზე.

ბერლინი. 25 ნოემბ. შტრეზემანის შემდეგ რეიხსტაგში გამოვიდა კომუნისტი ფრეილიხი, რომელმაც აღნიშნა, რომ სარენტო მარკის შემოღება მხოლოდ სიყალბეა. ბერლინის შავ ბირჟაზე და აგრეთვე ჰოლანდიაში სარენტო მარკის კურსი უკვე უდრის მისი ოფიციალურ კურსის 50 პროცენტს. ასეთი მოტყუება გააღრმავებს პროლეტარიატის აღშფოთებას. მტკიცე ვალიუტის საკითხი მჭიდროთ არის დაკავშირებული ხელფასის საკითხთან. მშვიდობიანობის დროს შრომის საშუალო ხელფასი უდრიდა 60 პფენინგიდან 1 მარკამდე საათში. ეხლა კი მთავრობა თანახმაა მისცეს მუშებს მხოლოთ 20 პფენინგი, რაც სხვა და სხვა გვარ გამორიცხვის შემდეგ შეადგენს 5 პფენინგს.

ფრეილიხმა აღნიშნა, რომ სტინესი მზათ არის დაუთმოს საფრანგეთს რურის და რეინის ოლქები და შტრეზემანს არავითარი ზომა არ მიუღია ამ ცდის წინააღმდეგ. ეხლა, როდესაც რევოლიუციამ მიაღწია თავისი განვითარების უმაღლეს წერტილს, ბურჟუაზია ებღაუჭება ხელისუფლებას და ყოველივე ხერხს ხმარობს მისი შენარჩუნებისათვის. ფრეილიხი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობა არ აბათილებს ხმებს რუპრეხტის წარმომადგენლის მიერ პარიზში გამართულ მოლაპარაკების შესახებ, რომელსაც მიზნათ აქვს სეპარატისტულ გეგმების განხორციელება. ფრეილიხს მოყავს „მანჩესტერ გარდიენ“-ის ცნობა მოლაპარაკების შესახებ, რომელიც სწარმოებს ამ საკითხის გარშემო ბავარიის მთავრობასა და პოლონეთს შორის. შემდეგ ფრეილიხი ახურათებს რეიხსვერის თარეშს საქსონია-ტიურინგიაში.

ფრეილიხის მიერ აღნიშნული ფაქტები შეტაკებას იწვევენ რეიხსტაგში ნაციონალისტებსა და კომუნისტებს შორის. ფრეილიხი ათავებს თავის სიტყვას საშინელ ხმაურობაში, სიტყვის დასასრულს ფრეილიხმა აღნიშნა, რომ მარტო საქსონიაში დაპატიმრებულია 500 კომუნისტი და სოციალ-დემოკრატი.

მთავრობა „მუშაობს“

რეიხსტაგში

ბერლინი 26 ნოემბერი. რეიხსტაგმა ყველა ბურჟუაზიულ პარტიების ხმებით უარჰყო სოციალ-დემოკრატების წინადადება გერმანიაში საალყო წესების გაუქმების შესახებ და აგრეთვე კომუნისტების წინადადება გენერალ ფონ-სექტისათვის მინიჭებულ განსაკუთრებულ უფლებების გაუქმების ფონ-კარის, ლიუდენდორფის, ფონ-ლოსოვის და ჰიტლერის სახელმწიფო ღალატისათვის სასამართლოში მიცემის რადიკალურ გაზეთების აკრძალვის გაუქმების და რეიხსვერის პოზიციების დათვალიერების მოხდენის შესახებ.

მიულერის ბრძანება ადასტურებს მუშათა პრესის მიერ აღნიშნულ ძალმომრეობას, რომელსაც რეიხსვერი დიდი ხანია სჩადის საქსონიაში.

სესხის ჩაშლა.

ბერლინი. 26 ნოემბერი. ლონდონის სიტი, ბალდვინის მიერ თავის სიტყვაში გამოთქმული პესიმიზმის გამო მთელი ცენტრალური ევროპის მომავალის შესახებ, რასაც იზიარებენ ინგლისის ყველა ფინანსიური ეკონომიური წრეები, უარს ამბობს მიიღოს მონაწილეობა გერმანიის ახალ სესხში 50 მილ. გირ. სტერლინგის რაოდენობით, რომელსაც მოითხოვდენ ამსტერდამის ფინანსისტები.

დეპუტატების ხელუხლებლობის გაუქმება.

პარიზი. 26 ნოემბ. გენერალი ფონ-სექტი მოითხოვს მომავალში დეპუტატების ხელუხლებლობის გაუქმებას.

უარყვეს.

ბერლინი. 25 ნოემბ. კომფრაქციის წინადადება კარის და ლოსოვის წინააღმდეგ სახელმწიფო ღალატისათვის საჩივარის აღძრის შესახებ უარყოფილია 193 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 166 ხმისა.

რეიხსვერის თარეში.

ბერლინი. 25 ნოემბერი. მიულერმა გამოსცა ბრძანება, რომელშიაც აღნიშნულია, რომ რეიხსვერის ჯარისკაცები საქსონიაში ძალმომრეობას სჩადიან მოსახლეობის მიმართ, რაც არმიის გახრწნის მომასწავებელია. რეიხსვერის ყველა კომანდირებს წინადადება ეძლევა მიიღონ სასტიკი ზომები ამგვარ შემთხვევების აღმოსაფხვრელათ და დამნაშავეთა დასასჯელად.

მოძრაობა ფართოვდება.

ბერლინი. 26 ნოემბერი. პარასკევს სეპერატისტებმა ლიუდვიგს ჰაფენში დაიკავეს თვითმართველობის შენობა და რეინის ხიდი, რომელიც ლიუდვიგს ჰაფენს მანჰეიმთან აერთებს. თვითმართველობის და ხიდის დაკავებამდე ფრანგებმა დილით განაიარაღეს გერმანიის პოლიცია.

სეპარატისტების შეტაკება პოლიციასთან.

პარიზი. 26 ნოემბერი. დიუსელდორფში შეტაკება მოხდა სეპარატისტებსა და პოლიციას შორის. დაჭრილია მრავალი.

ახალგაზრდობის კომკავშირის ზრდა

ჩვენ ვიზრდებით, ისინი იშლებიან

მოსკოვი. 26 ნოემბერი. კომ. ახ. ინტერნაციონალის აღმასკომის სხდომაზე გერმანიის ახალგ. კომკავშირის მოღვაწეობის შესახებ გაკეთებულ მოხსენებიდან გამოირკვა, რომ კომკავშირი განუწყვეტლივ იზრდება, განსაკუთრებით იმ ადგილებში, სადაც ახალგაზრდათა კომკავშირი განიცდის დევნას. ბერლინის ორგანიზაციაში ირიცხება 5.700 წევრი. კავშირის მიერ მოწვეული მუშათა ახალგაზრდობის ფართო კონფერენციები წარმატებით მიმდინარეობენ. ბერლინში მოწვეულ კონფერენციაზე მონაწილეობას იღებდა ახალგაზრდა მუშების და მუშა-ქალების 3700 წარმომადგენელი. ახალგ. კომკავშირის ზრდასთან პარალელურად გრძელდება სოციალისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაციის დაშლა. შემჩნეულია ახალგ. კომკავშირში სოციალისტურ ახალგაზრდობის მასიური გადასვლა. ახალგ. კომკავშირში მთლიანად გადავიდა დიუსელდორფის და ჰალეს სოციალისტურ ახალგაზრდობის ორგანიზაცია.

მიუხედავათ სოციალისტური ახალგაზრდობის ცეკას ბრძანებისა, მთელ გერმანიაში მოეწყო ახალგაზრდობის მოქმედების კომიტეტები ფაშიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად.

საკონტრიბუციო საკითხის გარშემო

პარიზი. 26 ნოემბ. გერმანიის საქმეთა რწმუნებულმა ბრიუსელში გადასცა ქასპარს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია, რომ გერმანიის მთავრობამ გადასწყვიტა განაგრძოს საკონტრიბუციო პრობლემის განხილვა ბელგიის ტეხნიკურ კომისიის მიერ წარმოდგენილ საფუძვლებზე. ქასპარმა გადასცა გერმანიის ნოტა საკონტრიბუციო კომისიას, რომელსაც ამ ჟამად მინდობილი აქვს ბელგიის ტეხნიკურ კომისიის დასკვნების განხილვა.

ლონდონი. 26 ნოემბერი. „ობსერვერის“ დიპლომატიური კორესპონდენტი გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა სამხედრო-საკონტროლო კომისიას მოელიან ბერლინში მომავალ კვირაში, მიუხედავად იმისა, მიიღებენ თუ არა მოკავშირეები გერმანიისაგან პასუხს წარსულ კვირაში გაგზავნილ 2 ნოტაზე.

პოლონეთის ამბები

კაბინეტის კრიზისი.

ვარშავა. 25 ნოემბერი. კუხარსკის მდგომარეობა მთავრობაში კრიტიკულია. მის წინააღმდეგ გამოდიან ქრისტიანული დემოკრატები, ვიტოსის ჯგუფი, მსხვილ მიწათ-მფლობელთა ერთი ნაწილი და დუბანოვიჩის ჯგუფის ზოგიერთი წევრი, რომლებიც უკმაყოფილონი არიან საშემოსავლო გადასახადის ოქროს ვალიუტით აღრიცხვით საფინანსო საბჭოს 4 წევრიდან 3 წევრი კუხარსკის საფინანსო პროექტების წინააღმდეგია.

ტმოვსკი გადადგომით იმუქრება იმ შემთხვევაში, თუ კუხარსკი გამოვა კაბინეტიდან.

დემოკრატები მოითხოვენ პ. ს. პარტიის დეპუტატების მარეკის და ვობროვსკის პასუხისგებაში მიცემას, რათა ამით თავიდან აცილებულ იქნას განხეთქილება ფინანსიურ უწესრიგობის ნიადაგზე. დემოკრატები ცდილობენ გადაიტანონ განხეთქილება წმინდა პოლიტიკურ ნიადაგზე.

სოციალ-დემოკრატების გავლენის ქვეშ, რომლებიც ყოველგვარი საშუალებით ცდილობენ გადაარჩინონ მმართველი უმრავლესობა, საფინანსო საბჭომ ნდობა გამოუცხადა კუხარსკის, სეიმის წრეებში ძალიან ეჭვობენ, რომ მმართველ პარტიებს შორის თანხმობა არსებობდეს.

შეპტიცკის გადადგომის შესახებ.

ვარშავა. 25 ნოემბერი. სეიმის მარშალის ცნობით, შეპტიცკის გადადგომა მიღებული იყო ჯერ კიდევ 5 ნოემბერს, მაგრამ ამას საიდუმლოთ ინახავდენ. შეპტიცკი ეხლაც განაგებს სამხედრო სამინისტროს.

ინგლისი ახალი არჩევნების წინ

საპარლამენტო არჩევნები.

მოსკოვი. 25 ნოემბ. ინგლისის წარმომადგენელმა კომინტერნის აღმასკომში სტიუარტმა „როსტა“-ს თანამშრომელთან საუბარში აღნიშნა, რომ არჩევნების დაჩქარება ინგლისში გამოწვეულია უთანხმოებით, რომელიც დაიბადა კონსერვატიულ პარტიაში პროტექციონულ ბაჟების საკითხის გარშემო და მთავრობის კრიტიკულ მდგომარეობით, რომელიც გამოწვეულია მასების უკმაყოფილებით და უმუშევრობის ზრდით. არჩევნებზე, როგორც სჩანს, გაიმარჯვებენ კონსერვატორები, მაგრამ ასკვიტის და ლოიდ-ჯორჯის გაერთიანებული ლიბერალური ჯგუფები ძლიერ ოპოზიციას შექმნიან პარლამენტში.

შესაძლებელია, მუშათა პარტიამ ლიბერალების მემარცხენე ფრთასთან ითანამშრომლოს, რადგან მას არ აქვს საარჩევნო კამპანიისათვის საჭირო ნივთიერი საშუალებები, რომლებიც შეუძლია ლიბერალებისაგან მიიღოს. არც ერთ პარტიას არ ექნება პარლამენტში აბსოლიუტური უპირატესობა, რაც ნიადაგს შექმნის კონფლიქტებისათვის. შეიძლება მუშათა პარტიას წილათ ხვდეს ლიბერალებსა და კონსერვატორებს შორის წონასწორობის დამცველის როლი. კომპარტიამ წამოაყენა ნიუბოლდის, გალახერის და ელენ ვილკინსონის კანდიდატურა. შესაძლებელია, რომ კომუნისტებმა ორი დეპუტატი გაიყვანონ. ახალი მთავრობა ალბათ წმინდა კონსერვატიული იქნება, თუმცა მოსალოდნელია, აგრეთვე კონსერვატორებისა და ლიბერალების კოალიციის შექმნაც. ყოველ შემთხვევაში ლიბერალები ყოველივე ზომას მიიღებენ კონსერვატიულ მთავრობის ჩამოსაგდებათ.

ახალი მთავრობის პოლიტიკა რუსეთის მიმართ, ლიბერალებისა და აგრეთვე მუშათა პარტიის ძლიერ გავლენის გამო, სტიუარტის აზრით, უფრო ლმობიერი იქნება. საგარეო პოლიტიკა უცვლელი დარჩება, თუმცა იმ განსხვავებით, რომ ინგლისი შეეცდება დაუახლოვდეს ამერიკას საფრანგეთის წინააღმდეგ საერთო ფრონტის შექმნის მიზნით მუშათა პარტიის მდგომარეობა უთუოდ გაუარესდება, რადგან მასები არ აპატიებენ მას ბურჟუაზიულ ლიბერალურ პარტიისადმი კომპრომისს.

სხვადასხვა

ირლანდია

რესპუბლიკანელების სიმშილობა.

ლონდონი. 26 ნოემბერი. ათეულ ათას ირლანდიელ რესპუბლიკანელებისაგან, რომლებმაც გამოაცხადეს სიმშილობა მათი დაპატიმრების წინააღმდეგ პროტესტის ნიშნათ, განაგრძობს სიმშილობას 300 კაცი. ერთი დაპატიმრებულთაგანი 34 დღის სიმშილობის შემდეგ მოკვდა.

იტალია

იტალია და ესპანეთი საფრანგეთის წინააღმდეგ.

რომი. 26 ნოემბერი. ესპანეთის მეფის ჩასვლას რომში დიდ პოლიტიკურ მნიშვნელობას აძლევენ. „პოპოლო“ სწერს: „იტალია და ესპანეთი უნდა გამოვიდენ საფრანგეთის ჰეგემონიის წინააღმდეგ. გერმანიის დარბევის შემდეგ, საფრანგეთს შეუძლია თავს დაესხას იტალიას“. ესპანეთის გაზეთი „ელ სოლ“-ი სწერს: „იტალიას და ესპანეთს, რომელთაც აქვთ საერთო საზღვაო პროგრამა, შეუძლიათ მოსწყვიტონ საფრანგეთი აფრიკას“.

რუმინეთი

პროფკ. მოძრაობის მთლიანობის აღდგენა.

ბუქარესტი 26 ნოემბერი. ბუქარესტში დაარსდა პროფკავშირების საერთაშორისო საბჭო, რომლის მიზანია პროფმოძრაობის მთლიანობის აღდგენა. საბჭოს თავმჯდომარეობით არჩეულია ბანატის პროფკავშირის მეთაური მიულლერი. პროფკავშირების ახალ საბჭოს შეუერთდა მთელი რიგი ორგანიზაციებისა, მათ რიცხვში ბესარაბიისა და დობრუჯის პროფკავშირები. პროფკავშირების ახალი საბჭო გამოქვეყნებულ მოწოდებაში მოუხმობს მუშებს ბრძოლისაკენ, რომელიც მიმართული უნდა იყოს პროფკავშირების მთლიანობის აღდგენისაკენ; ახალი საბჭო მოითხოვს აგრეთვე 8 საათის სამუშაო დღის შემოღებას, შრომის ხელფასის გადიდებას, კრებების თავისუფლებას და სავადმყოფო კასებისათვის ავტონომიის მინიჭებას.

წითელ რესპუბლიკაში

რუსეთი

მანქანების ასაშენებელი კრედიტების მიცემა უშუალოთ ქარხნებისათვის.

მოსკოვი. 26 ნოემ. სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს პრეზიდიუმმა სასურველად სცნო მიღებულ იქნას ზომები სასოფლო სამეურნეო მანქანების დაბალ კოოპერატიულ გაერთიანებათათვის გადასაცემად, ცენტრალურ კოოპერატიულ და სახელმწიფოებრივ ორგანოების გვერდის ახვევით. ვინაიდან ტრესტებს და ქარხნებს არ მოეპოვებათ საკმაო საბრუნავო საშუალებანი, რაც ხელს უშლის უშუალოთ მომხმარებელზე სასოფლო-სამეურნეო მანქანების ნისიად გაყიდვას პირველ საფეხურის კოოპერატივების საშუალებით, პრეზიდიუმმა გამოსთქვა სურვილი, რათა სახელმწიფოს მიერ გახსნილი კრედიტები მიეცეს უშუალოთ სასოფლო-სამეურნეო მანქანების და იარაღების დამამზადებელ ქარხნებს.

რწმუნების სიგელების ჩაბარება იტალიის წარმომადგენლის მიერ.

მოსკოვი· 25 ნოემბერი. პარასკევს იტალიის მთავრობის წარმომადგენელმა ს. ს. რ. კ. პატერნო დიმანჩიმ რწმუნების სიგელები ჩააბარა გარეშე საქმეთა სახალხო კომისარს ამხ. ჩიჩერინს.

ცენტრალური საკანტროლო კომისიის მუშაობა

მოსკოვი. 24 ნოემბერი. ცენტრალური საკანტროლო კომისიის პრეზიდიუმის ანგარიშში აღნიშნულია, რომ ცენტრალური საკანტროლო კომისიის პირველი ამოცანა იყო მუშათა და გლეხთა ინსპექციის რეორგანიზაცია. უკანასკნელის აპარატი შემცირებულია 50 პროცენტით; საგანგებო კომისიის საშუალებით მოხდა მუშაკების შერჩევა; ცენტრალური საკონტროლო კომისიის წევრთა მნიშვნელოვანი ნაწილი გაიგზავნა მუშათა და გლეხთა ინსპექციაში სამუშაოდ. ხდება ადგილობრივ ორგანიზაციების დათვალიერება, რისთვისაც ადგილებზე იგზავნება დამთვალიერებელი ექსპედიციები, აგრეთვე თვით ცენტრალური კომისიის წევრებიც დადიან ადგილობრივი ორგანიზაციების დასათვალიერებლად.

ცენტრალური საკანტროლო კომისიის და განახლებული მუშათა და გლეხთა ინსპექციის მეორე ამოცანა — საბჭოთა და პარტიულ აპარატების დათვალიერება სრულდება საგეგმო კომისიების მიერ.

მუშაობა დაყენებულია იმ რიგათ, რომ ცენტრალურ საკანტროლო კომისიის და მუშათა და გლეხთა ინსპექციას შეეძლოთ არა მარტო შესწავლა ცენტრალურ ორგანოების სათანადო აპარატების არამედ აგრეთვე შემოწმება ადგილობრივ აპარატების, რისთვისაც მთელ რიგ გუბერნიებში გაგზავნილია საგანგებო ექსპედიციები. საანგარიშო პერიოდში ცენტრალურმა საკანტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ დაათვალიერეს მთელი რიგი სამეურნეო დაწესებულებებისა. დათვალიერებიდან გამოირკვა, თუ რით არის ამჟამად დაავადმყოფებული ჩვენი სამეურნეო ორგანიზმი და რა მიმართულებით უნდა გასწიონ მუშაობა ცენტრალურმა საკანტროლო კომისიამ და მუშათა და გლეხთა ინსპექციამ.

მთელ რიგ სამეურნეო დაწესებულებებში აღმოჩენილია ბოროტმოქმედებანი, აღძრულია სასამართლო საქმეები და ახლო მომავალში გაიმართება პროცესები. პარტიის შინაგანი ცხოვრების დარგში ცენტრალური საკონტროლო კომისიის პრეზიდიუმი ყურადღებას აქცევდა უმთავრესად ორ საკითხს: ფუფუნებასთან ბრძოლას და მუშაკ-კომუნისტების მიერ თანამდებობის ბოროტათ გამოყენებას. ამის გარდა სწარმოებს სერიოზული მუშაობა სამუშაო ხელფასის თავის დროზე დარიგების მეთვალყურეობისათვის, გაფიცვების მიზეზების გამორკვევისათვის და სხვ. დათვალიერებულ იქნა მთელი რიგი პარტიულ ორგანიზაციებისა, ბაქოსი, ბაშკირეთის, ჩუვაშის და ტულის.

მეცნიერების მუშაკთა კონფერენცია

კონფერენციის გახსნა.

მოსკოვი 24 ნოემბერი. კავშირების სახლში გაიხსნა ს. ს. რ. კ. მეცნიერების მუშაკთა კონფერენცია. კონფერენციას ესწრებიან 8.000 სამეცნიერო მუშაკების დელეგატები. მათ შორის — მეცნიერების დიდი მნათობები: აკადემიკები — ვოლფი, ბეხტერევი, ოლდენბურგი, ვერსმანი, იპირიევი, ლოპოდა და პროფესორები: კოლცოვი, პრიანიშნიკოვი, რეფორმატსკი, საკულინი, ჩაპლიგინი, ოსადჩი, ოსიპოვი. ყრილობის პრეზიდიუმში არჩეულნი არიან უნივერსიტეტების რექტორი ბოლგინი, კაპატჩიკოვი და შაპირო, აკადემიკები — მარრი, მიცკევიჩი, ოლდენგურგი, ფერსმანი, პროფესორები — კოლცოვი, ოსადჩი და იუშკოვი და განათლების მუშაკთა ცენტრალურ კომიტეტის თავმჯდომარე — კოროსტილევი.

აკადემიკ ფერსმანი წინადადების თანახმად, ყრილობა ადგენს მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნოს ამხ. ლენინს.

ამხ. სემაშკოს სიტყვა.

მისალმებაში ამხ. სემაშკო ამბობს: „შეეცადეთ შეიჭრათ საბჭოთა სახელმწიფოს ყველა ფორაკებში და გახსოვდეთ ლასსალის ლოზუნგი: „გაუმარჯოს მეცნიერებისა და შრომის მთლიანობას“.

ამხ. ლუნაჩარსკის მისალმება.

მთავრობის და განათლების სახალხო კომისარიატის სახელით ყრილობას მიესალმა ამხ. ლუნაჩარსკი, რომელმაც სთქვა:

„მეცნიერებისა და რევოლიუციის შორის არის ღრმა ძირითადი კავშირი აღმოცენებული უთანხმოებანი — ზერელეა და წარმავალი. მეცნიერება დროებით დაემორჩილა კაპიტალისტების გაბატონებულ კლასს. მეცნიერების სული მოითხოვს სრულ თავისუფლებას სამეცნიერო მოღვაწეობაში. ამ თავისუფლებას იძლევა მხოლოდ პროლეტარიატის გამარჯვება“.

ამხ. ზინოვიევი ოქტომბრის რევოლიუციისა და ინტელიგენციის შესახებ.

მოხსენებაში, რომელიც შეეხებოდა რუსეთის ინტელიგენციის დამოკიდებულებას ოქტომბრის რევოლიუციისადმი, ამხ. ზინოვიევმა აღნიშნა, რომ ოქტომბრის რევოლიუციას ყველაზე მეტი წინააღმდეგობა გაუწია ინტელიგენციამ.

ჩვენ ვასწავლიდით, სთქვა ამხ. ზინოვიევმა, პატივისცემას ცოდნისადმი, პატივისცემას აგრეთვე იმ რევოლიუციონერებისადმი, რომელნიც ინტელიგენტურ წრიდან იყვნენ გამოსულნი; ჩვენ პატივს ვსცემდით არა მარტო ჟელიაბოვს და პეროვსკაიას, არა მარტო ჩერნიშევსკის, გერცენს და ბელინსკის, არამედ აგრეთვე ვოლკონსკის და რადიშჩევს. ბრძოლის ყველაზე უფრო მძიმე მომენტში, ჩვენ არ ვივიწყებთ იმას, რომ ჩვენი ამოცანაა გავიმარჯვოთ არა მარტო შეიარაღებულ ბრძოლებში, არამედ ჩვენ უნდა შევქმნათ აგრეთვე განათლება და ავსწიოთ ქვეყნის კულტურა.

ინტელიგენციასთან, რომელიც ჩვენთან მუშაობს, შეიძლება ადგილი ჰქონდეს უთანხმოებას, — სთქვა ამხ. ზინოვიევმა, — მაგრამ ამ უთანხმოებას ჩვენ მოვაგვარებთ. ისინი ვინც მუშაობდენ ჩვენთან უპურობისა, სიმშილობისა და შეშის უქონლობის დროს, ისინი ვინც ხედავდა თუ როგორ ვიბრძოდით ჩვენ იმისათვის, რომ დაგვეცვა ქვეყანა, — ისინი გაიგებენ ჩვენს გულისთქმას. ჩვენ რომ არ ვყოფილიყავით რუსეთს დაანაწილებდენ ისევე, როგორც დაანაწილეს გერმანია. ნუ მოვიგონებთ წარსულს და ერთნაირის ერთგულებით შევუდგეთ რუსეთის აღდგენას. ჩვენ ვფიქრობთ იმაზე, რომ ჩვენს ქვეყანაში არ იყვნენ წერა-კითხვის უცოდინარნი; ჩვენ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა მოიფინოს უნივერსიტეტებით და რომ მან დაიჭიროს მსოფლიოში ის ადგილი, რომელიც მას უნდა ეჭიროს.

ამხ. ტროცკის მისასალმებელი წერილი.

ამხ. ტროცკის საშუალება არ ჰქონდა, ავადმყოფობის გამო, მონაწილეობა მიეღო ყრილობის მუშაობაში და მან ყრილობას გაუგზავნა შემდეგი შინაარსის წერილი:

„ყრილობამ უნდა გადაავლოს და დააჩქაროს მეცნიერული აზრის მიყვანა ახალი საზოგადოებრივობის ამოცანებამდი. ამოცანები გრანდიოზულია. ჩვენ მეტისმეტათ ჩამორჩენილი ქვეყანა ვართ. ჩამორჩენილობასთან ბრძოლას ჩვენ ვაწარმოებთ არა პრივილეგიურ უმცირესობის ინტერესებისათვის, არამედ იმ მიზნით, რომ ავსწიოთ ხალხის და კერძოთ ჩამორჩენილ გლეხთა ფენების მატერიალური და სულიერი დონე. რაც უფრო მტკიცდება მუშური სახელმწიფო, მით უფრო მწვავე და ძლიერია მშრომელი მასების სურვილი და მისწრაფება გადალახონ ტეხნიკური, მეცნიერული და კულტურული ჩამორჩენილობა. მუშური სახელმწიფო — ორგანიზაციული ბრძოლაა კულტურისა და მეცნიერებისათვის. ჩვენ გვინდა წარმატებით ვიბრძოლოთ და ვიბრძოლებთ კიდეც. ამ მიმართულებით ჩვენ მტკიცე იმედი გვაქვს მეცნიერული აზრის დახმარების. წითელი არმია და წითელი ფლოტი ესალმება ყრილობას“.

ყრილობის რეზოლიუცია.

ყრილობამ მიიღო რეზოლიუცია, რომელიც აღნიშნავს, რომ მეცნიერების მუშაკთა და მუშათა კლასის შორის არსებულმა განხეთქილებამ შეერთებულ მუშაობის პროცესში, რომელიც მიმართულია ქვეყნის სამეურნეო და კულტურულ ცხოვრების აღდგენისაკენ, ადგილი დაუთმო დაახლოვებას. ყრილობა მოუწოდებს მეცნიერების მუშაკთ უკუაგდონ რყევა და ხელიხელ ჩაკიდებული მშრომელ მასებთან დაამთავრონ ის ბრძოლა, რომლის მიზანია მეცნიერებისა და შრომის მთლიანობაზე დამყარებულ თავისუფალ საზოგადოების შექმნა“.

წითელი არმიის მანევრები

ჩვენ და „ისინი“.

ჩვენი და მტრის ძალების ადგილმდებარეობა ჩემი „ფრონტზე“ გასვლის მომენტში შემდეგი იყო.

მოწინააღმდეგე უჭირავდა რა ქალაქს, გამაგრებული იყო ჩრდილოეთ-დასავლეთით და დაკავებული ჰქონდა ნაძალადევი, რკინის გზის სადგური, მუშტაიდი და მდ. მტკვრის მარცხენა ნაპირი.

პირველი წითელი დივიზია შეტევას აწარმოებდა სად. ფოილოდან და მან დილიდანვე დაიწყო ბრძოლა ქალაქის ხელში ჩასაგდებათ. დიდ რაზმს, სადაც მე ვიმყოფებოდი, ნაბრძანები ჰქონდა ჩქარი ნაბიჯით წასულიყო წინ და შეერთებოდა 1 დივიზიას; მას 25—26 ნოემბერს ღამე უნდა გაეთია ქ. ტფილისიდან 15 ვერსის მანძილზე მდებარე რამდენიმე სოფელში.

პუნქტების და ნაწილების მრავალი სახელწოდება, რომელსაც აქვს მხოლოდ სპეციალურ სამხედრო ხასიათის ინტერესი, ჩვენ განგებ გამოვუშვით.

საკმარისია მხოლოდ აღვნიშნოთ, რომ ჯარების დიდი მასსა დაწყებული მძიმე არტილერიიდან და გათავებული დასაშლელ ტყვიისმფრქვევლებით და სამეურნეო კავალერისტებიდან — მესანგრეებით — მთელი ეს მრისხანე ძალა ამოეფარა მთების კალთებს და მიიმალა ხევების ჩრდილებში

— პირველ ნიშნის მიცემამდე, რათა საჭირო მომენტში გაერთიანებული ძალებით შეეტია მტრისათვის.

ხანგამოშვებით ჭოგრით (ბინოკლი) შევამჩნევდი 2—3 კავალერისტს, წყალის დასალევინებლად მიჰყავდა ცხენები დაბლობისაკენ.

თითქოს არც ერთი სულიერი არ იყოს შენს გარშემო.

მხოლოდ მანევრების მონაწილემ იცის, რომ ყველაფერ ამ სიფრთხილის და დამალვის მიზანია ჯარის ნაწილები არ იქნან შემჩნეული ჰაეროპლანების მიერ, რომლებიც დღეს მოწინააღმდეგის მხარეზე მუშაობენ

მთავარი შტაბისაკენ.

მხოლოთ დილა ადრიან „საომარი მოქმედები“-ს რაიონის ყველა გზებზე და ბილიკებზე იწყება გაცხოველებული მოძრაობა.

ჩვენ წინ გვისწრებენ ავტომობილები, ცხენოსანი ჯარის ცალკე ჯგუფები; უკან რჩებიან სურსათ-სანოვაგით დატვირთული ურმები.

ყველაფერი ყველას ჰქონდეს თავისი და არა ისე, როგორც ეს იყო „ნიკოლოზის“ მანევრების დროს — მოსახლეობის ხარჯზე.

წინ, მეფურგუნესთან ერთად აწარმოებს რთულ ანგარიშებს მისი თანამგზავრი·

„სამეურნეო ნაწილის გამგის თანაშემწე“ — ვუწოდებთ ჩვენ ამ წითელარმიელს, რომელსაც უჭირავს უბნის წიგნაკი ხელში და გართულია ანგარიშში.

მოქრის ავტომობილი, დატვირთული გაზეთებით და ლიტერატურით — „დღევანდელი გაზეთი“ ეს არის პირველი, რაც აუცილებელ საჭიროებას შეადგენს წითელი მებრძოლისათვის არა თუ მშვიდობიან დროს, არამედ ფრონტზედაც.

ფურცლებს, რომელთაც ჯერ კიდევ სიახლის გამო სტამბის საღებავის სუნი უდის, ფიცხლავ იტაცებენ ნაწილებში, გუნდებში და ესკადრონებში.

მოდის სალაშქრო სამზარეულო.

აქვე არიან ამ „აბოზის“ მესვეურები — დაბალი საკომანდო შემადგენლობის ქართული სკოლის კურსანტები.

ცხვრის ტყავს ქუდებით, ყველანი გაცილებით უფრო ფხიზლად მიდიან, ვინემ რუსთველის პროსპექტზე.

მთავარი შტაბი მოთავსდა ყოფილ სარძევე ფერმის პატარა სახლში.

ოთახში რჩება მთელი ის მორთულობა, რომელიც ახასიათებს „მეშჩანურ“ მყუდროებას, სხვათა შორის, ხატი კუთხეში, რომლიდანაც გაკვირვებით შესცქერის წითელარმიელთა წვეტიან ქუდებს ღმერთის გამოხუნებული თვალები. ძველებურ „კომოდზე“ დგას შტაბის საწერი მანქანა. რგვალ სასადილო მაგიდასთან ზის ოპერატიულ ნაწილის უფროსი, რომელიც თავის თანაშემწესთან ერთათ სწერს საომარ განკარგულებას, ამ განკარგულებას პერიფერიებზე აგზავნის აქვე, ფანჯარასთან მოთავსებული ტელეფონისტი.

უნებურათ გაოცდები:

— როგორ, ნუ თუ ტელეფონის ქსელი უკვე გაბმულია?

საქმე იმაშია, რომ ყოველივე ეს ხდება თითქმის გათენებისას.

— ტფილისთანაც შეიძლება ლაპარაკი?

— როგორ არა, ტფილისთანაც და ყოველ ნაწილთან, რომელთანაც გინდა.

მთელი რაიონი გახვეულია ტელეფონის მავთულების ბადეში. ყოველ წუთს რეკავენ შტაბში, აქედან იძლევიან განკარგულებებს. არ არის ზედმეტი შფოთვა, მაგრამ სიცოცხლე სჩქეფს...

— არ გაუშვათ გზაზე „დეზუკოლკები“...

— დააყენეთ მცველები...

— აკრძალეთ სპირტიან სასმელების გაყიდვა ჯარის კაცებზე...

— მოაწყვეთ საექიმო პუნქტები...

ცალკე ნაწილთა ტელეფონისტები გაფაციცებით უსმენენ ყოველ განკარგულებას.

კავშირი პერიფერიებსა და ცენტრს შუა უნაკლოა.

ჩამოდის კავკასიის არმიის შტაბის უფროსი, ამხ. კუზნეცოვი.

საღამოს შტაბში იკრიბებიან ინსტრუქციების მისაღებათ ცალკე ნაწილთა წითელი კომანდირები. ვ.

(დასასრული ხვალ)

დავეხმაროთ გერმანიის პროლეტარიატს

გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციას.

ამასთან ერთად გიგზავნებათ 7 ნოემბერს გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოთ შემოსული შემოწირულება—ექვსას ორმოცდა სამი მილიონი, ხუთასი ათასი მან. (643.500.000) და 7 ნოემბრის შემდეგ შემოსული—სამას ოცდა ცხრა მილიონი (329.000.000), სულ ცხრაას სამოცდათორმეტი მილიონ, ხუთასი ათასი მან. (972.500.000 მ.) აქვე ვადგენთ შემომწირველთა სიას.

შემომწირველთა სია: ქ. გობეჯიშვილი—55.500.000 მ., ილ. მეტრეველი—55,500,000 მ., არ. ტყეშელაშვილი 20 მ. მ., დ. მეტრეველი—10 მ. მ., ს. შავგულიძე—55.500,000 მ., ამ. ყრუაშვილი—20 მილ. მ., ვ. ჯაფარიძე—55,500,000 მ., მ. ბაქრაძე - 55,500,000 მ., გ. ჯაფარიძე—55,500,000 მ, ს. ჩიქვაიძე—20 მილ. მ., ა. მურუსიძე—20 მილ. მ, ს. ბერიშვილი—10 მილ. მ., ზ. კერესელიძე—20 მილ. მ., ა. გამყრელიძე—55,500,000 მ, ვ. მესხი—55,500,000 მ., ა. ჩიქვილაძე—10 მილ., ა. ელბაქიძე—5 მილ. მ., ლ. სალუქვაძე—55,500,000 მ., გ. ჯაფარიძე—59 მილ. მ., პ. წულუკიძე—60 მილ მ, ს. ბაქრაძე—20 მილ. მ., ილ. კბილაძე—20 მილ. მ., ს. ჯაფარიძე—20 მილ. მ., გრ. ენუქიძე—50,000,000 მან., ლ. მასხარაშვილი—100,000,000 მან. სულ 972,500,000 მან.

ს. ქ. პ. რაჭის სამაზრო კომიტეტი.

ქუთაისის გამგეობა ამასთან ერთად გიგზავნით ოთხმოც მილიონ, სამას ათას მანეთს (80,300,000 მ.) შემოწირულს სამტრედიის ფ. ტ. მუშა-მოსამსახურეთაგან გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოდ.

რაიგამგეობის თავმჯდომარე ციბაძე.

ქუთაისის გამგეობა ამასთან ერთად გიგზავნით ზუგდიდის მუშკომის მიერ გადმოგზავნილ შემოწირულებას 50,000,000 მანეთს, გაღებულს ზუგდიდის ფ. ტ. თანამშრომელთა მიერ გერმანიის მებრძოლ პროლეტარიატის სასარგებლოთ.

რაიგამგეობის თავმჯ. ციბაძე.

ამხ. ვარლამ ერქომაიშვილის გამოწვევით შემომაქვს 50,000,000 მ. და ვიწვევ ჩემის მხრივ ამხ. იოსებ ვაშალომიძეს და სამტრედიის ცეკავშირის განყოფილებიდან ამხ. არჩილ კეკელიძეს.

ალექსი ბოლქვაძე.

თანახმად ტ. შორიძის გამოწვევისა, შემომაქვს 60.000.000 მანეთი გერმანიის პროლეტარიატის სასარგებლოდ

დ. მაჭავარიანი.

ამხ. ვ. რუხაძის გამოძახილზე შემომაქვს 160 მილ. მან. და ჩემი მხრივ ვიწვევ: ხაშურიდან—ამხ. ბუხნიკაშვილს, ს. კაპანაძეს, ვ. ძამამიას, ნ. ლაცაბიძეს, გ. აბრამაშვილს, ა. ქებაძეს, ვ. გიგეშიძეს; გორიდან:—ლ. გოგოლაძეს, ა. სიამაშვილს; დუშეთიდან: ლეჟავას, დ. ცხელაშვილს, დ. ამირაძეს, მანდენოვს და გორთამაშვილს; ორმოცდაათი მილიონი ამხ. ვაზაკაშვილს, გიორგი გვარამაძეს, ანდღულაძეს, გერმანს, შერმანდინს და ქ. ახმეტელოვს.

პ. ბოკერია.

შემოვიდა 26 ნოემბერს:

1) რაჭის სამაზრო პარტკომისაგან სხვადასხვა პირთაგან შემოწირული—972.500.000 მან., 2) სამტრედიის ფ. ტ. მუშა-მოსამსახურეებისაგან—80.300.000 მან., 3) პ. ბოკერიასაგან—160.000.000 მან., 4) დ. მაჭავარიანისაგან—60.000.000 მან., 5) ა. ბოლქვაძესაგან—50.000.000 მან., 6) ქ. ა ვასაძისაგან—50.000.000 მან., 7) ზუგდიდის ფ. ტ. თანამშრომლებისაგან—0.000.000 მანეთი.

ს უ ლ 1.422.800.000 მან.

წინეთ შემოსულით: 332 ჩერვონეცი, 9 ნახ. გირ. ინგლისური სტერლინგი, 30 ნახ. ოსმალური ქაღ. ლირა, 1 ოქროს ჯვარი, 22 ოქროს ბეჭედი 3 ოქროს სამაჯური, 5 ოქროს საგული, 1 ოქროს საყურე, 1 ვერცხლის ჩაის კოვზი, 53—40 კაპ. ვერცხლით, 3 ვერცხლის პორტსიგარი, 1 ვერცხლის რგოლი, 2 ნაჭერი ოქრო წონით 1 მისხალი და 27.254.737.000 მან.

ამიერ კავკასიის ფედერაციაში

აზერბეიჯანი

აზერბეიჯანის საბჭოების მესამე ყრილობა.

ბაქო. 25 ნოემბერი. დღეს წითელ ბაქოში იხსნება აზერბეიჯანის საბჭოების ყრილობა.

ყრილობა ახალს ძალას ჩაჰბერავს აზერბეიჯანის სასოფლო მეურნეობას, გააძლიერებს კულტურულ მუშაობას აზერბეიჯანის სოფლებში და განამტკიცებს ადგილობრივ მეურნეობას აზერბეიჯანის მუშებს უსაზღვროდ უხარიათ თავის წრეში კვლავ დანახვა აზერბეიჯანის გლეხკაცობის საუკეთესო წარმომადგენლებისა. დღეს გახსნილი ყრილობა განამტკიცებს განუკვეთელად შეადუღებს საბჭოთა და აზერბეიჯანის მუშებისა და გლეხების კავშირს.

ყრილობის შემადგენლობა.

ბაქო. 25 ნოემბერი. ბაქოს საბჭომ აზერბეიჯანის საბჭოთა ყრილობისათვის აირჩია 104 დელეგატი გადამწყვეტი და 30 დელეგატი სათათბირო ხმის უფლებით. არჩეულთა შორის არიან: ამხ. ორჯონიკიძე, ბუდიონი, კიროვი, ალამლი-ოღლი, ორახელაშვილი, ყარაევი, კონუშკინი, პლეშაკოვი, ჰუსეინოვი, მუსაბეკოვი, სერებრიაკოვი, მირზოიანი და სხვანი.

ყრილობაზე ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის სახალხო კომისართა თავმჯდომარე ამხ. მამია ორახელაშვილი. მოელიან ამხ. ბუდიონის ჩამოსვლას.

სომხეთი

ევჯილიარის არხი.

ერევანი. 23 ნოემბერი. დიდის ენერგიით სწარმოებს ევჯილიარის არხის გაყვანის მუშაობა. მთავარი ხაზის 14 ვერსიდან, უკვე გათხრილია 8 ვერსი. არხის გამყვან სამმართველოს განცხადებით, მუშაობას აფერხებს მხოლოდ სახსრის სიმცირე, თორემ კარგი ამინდები ხელს უწყობდა, იანვრამდე დასრულებულიყო სამუშაოს უმეტესი ნაწილი.

სახელმწიფო კონსერვატორია.

ერევანი. 23 ნოემბერი. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდა დასრულდა. გამოცდაზე გამოცხადებულ 794-დან მიღებულია 174. მიღებულთა ანკეტებიდან სჩანს, რომ მათ რიცხვში არის: პროფკავშირის 129 წევრი ან მათი ოჯახების წევრი, 21 წითელარმიელი, ან მათი ოჯახის წევრი, 25 გლეხისა თუ ხელოსანისა შვილი მეცადინეობა დაიწყო 22 ნოემბერს. კონსერვატორიას განზრახვა აქვს თავისი მასწავლებელთა ძალებით მოაწყოს კონცერტები. განზრახულია ისტორიული კონცერტების გამართვა.

კომუნალურ მუშაკთა კავშირში.

ერევანი. 23 ნოემბერი. კომუნალურ მუშაკთა კავშირის გამგეობამ თავის წევრთა პოლიტიკური და პროფესიონალურ განვითარების ხელის შესაწყობად, შეადგინა ორი პოლიტიკური და ერთი პროფესიონალური ჯგუფი. კავშირის ისტორიის შესადგენად არჩეულია განსაკუთრებული კომისია. ცენტრალური გამგეობა შეუდგა თავის წევრთა შრომის პირობებისა და ხელფასის სასწრაფოდ შესწავლას.

დაშნაკელთა თვითლიკვიდაცია

ყოფილ დაშნაკელების სრულიად სომხეთის ყრილობა

ერევანი. 26 ნოემბერი. სრულიად სომხეთის ყოფილ დაშნაკელების 4-ე, 5 და 6-ე და უკანასკნელ სხდომაზე განხილულ იქნა საბჭოთა ხელისუფლების შინაური და საგარეო მდგომარეობა და გადასინჯული იქნა ეროვნული საკითხი და დაშნაკცუტიუნის პარტიის წარსული მოღვაწეობა და პოლიტიკა.

პირველ საკითხის შესახებ ვრცელი მოხსენება გააკეთა ამხ. მრავიანმა, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით შეხვდენ. მოხსენებას ხშირად აწყვეტინებდენ ტაშის ცემით და მოწონების ხმებით. მიღებულ რეზოლიუციაში ყრილობა ხაზს უსვამს, რომ შეტაკება შრომასა და კაპიტალს შორის უკანასკნელ ფაზაში მოექცა; მთელი მოღვაწეობა ორ ნაწილად გაიყო—რევოლიუციონურ და კონტრ-რევოლიუციონურად. რეზოლიუციაში ნათქვამია:

„ჩვენ ვსწყვეტავთ კავშირს დაშნაკურ კონტრ-რევოლიუციასთან და გაბედულათ და შეგნებულად ვსდგებით საერთაშორისო პროლეტარულ რევოლიუციის ბანაკში“.

პარტიის წარსული მოღვაწეობის გადასინჯვის გარშემო გამართულ კამათის შემდეგ მიღებული იქნა შემდეგი რეზოლიუცია:

„დაშნაკცუტიუნი არის კავკასიის სომხურ ბურჟუაზიის ნაყოფი, რომელსაც პირველ ხანებში საფუძვლად ედო ოსმალეთის სომხების განმანთავისუფლებელი მოძრაობა. იგი ჩამოშორდა სომხურ მშრომელთა მასების საერთო რევოლიუციონურ ფრონტს და მთელი იმედი მან დაამყარა ევროპის ქვეყნების ჩარევაზე. დაშნაკურმა წვრილ-ბურჟუაზიულმა რომანტიულმა პოლიტიკამ დაჩრდილა კავკასიის მუშურ-გლეხურ მასების კლასიური და რევოლიუციონური თვითშეგნება, ვინაიდან გარეგნულად შეითვისა ცრუ-სოციალისტური ლოზუნგები ჩაბა რა კავკასიის სომხების მშრომელი მასები იმპერიალისტურ ომში და გამოიწვია რა ოსმალეთის და სომხეთის მშრომელ მასებს შორის საშინელი ხოცვა-ჟლეტა, დაშნაკცუტიუნმა ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ შექმნა კავკასიაში კონტრ-რევოლიუციონურ ფრონტის ერთი ნაწილი რუსეთის მუშურ-გლეხურ მასების წინააღმდეგ და მოუმზადა სომხეთის მშრომელ მასებს ეკონომიური და ფიზიკური განადგურება. 29 ნოემბრის განმანთავისუფლებელ რევოლიუციის და სამოქალაქო ომის შემდეგ მშრომელ მასების მიერ განდევნილი დაშნაკცუტიუნის მეთაურები, დღეს საზღვარ-გარეთ უარს აცხადებენ სოციალიზმის თვალთმაქცურ ლოზუნგებზედაც კი, აწყობენ რა კავშირს მენშევიკებთან და მუსავატისტებთან ამიერ-კავკასიის საბჭოთა ფედერაციის და საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

მცირე ერივნებათა განთავისუფლება უზრუნველყოფილი იქნება მხოლოდ და მხოლოდ მუშურ-გლეხურ ხელისუფლების მიერ და კომპარტიის ეროვნული პოლიტიკით.

ყრილობა ადგენს: დამტკიცებულ იქნას ყველა სამაზრო და სარაიონო კონფერენციების დადგენილებანი დაშნაკცუტიუნის პარტიის ყველა ადგილობრივი ორგანიზაციების ლიკვიდაციის შესახებ, დაშლილ იქნას დაშნაკცუტიუნის პარტიის ყველა ორგანიზაციები სომხეთში; წინადადება მიეცეს აზერბეიჯანსა, საქართველოსა, სხვა საბჭოთა რესპუბლიკებში და საზღვარ-გარეთ მყოფ ყველა მშრომელ დაშნაკურ მასებს მიბაძონ ჩვენს მაგალითს, დაშალონ დაშნაკური ორგანიზაციები და გაუქმებულად ჩასთვალონ პარტიული მანდატები და დავალებანი, რომლებიც გაცემულია დაშნაკელების ცენტრალურ კომიტეტის და საზღვარგარეთელ ორგანოების მიერ; გადაჭრით აიკრძალოს საზღვარგარეთ მყოფ უმაღლეს პარტიულ ორგანოებს გამოსვლა და მოქმედება სომხეთის ორგანიზაციის სახელით.

აღნიშნული დადგენილებანი გადეგზავნება ცნობისათვის 2-ე ინტერნაციონალის საერთაშორისო ბიუროს. გადასწყდა მთელი ძალ-ღონე შეეწიროს საერთაშორისო მუშურ-გლეხურ რევოლიუციას და მის სამხედრო შტაბს—კომინტერნს და უკანასკნელის ხელმძღვანელობით დაიცვან დიადი ოქტომბრის რევოლიუციის მონაპოვარნი და საბჭოთა ხელისუფლება კონტრ-რევოლიუციონურ ძალებისაგან შიგნიდან და გარედან.

რეზოლიუცია ერთხმად იქნა მიღებული ყრილობის მიერ, ხანგრძლივი და მქუხარე ტაშით.

სხდომის დასასრულს გამოცხადდა ამხ. ლუკაშინი, რომლის გამოსვლას ტრიბუნაზე ფეხზე ადგომით და ხანგრძლივი ოვაციებით შეხვდენ. ამხ. ლუკაშინი სომხეთის კომპარტიის და საბჭოთა ხელისუფლების სახელით მიესალმა ყრილობას. მან აღნიშნა ის მნიშვნელობა, რომელიც აქვს ამ ყრილობას და შეეხო საბჭ. ხელისუფლების ეროვნულ პოლიტიკას. სხდომის დასასრულში ყრილობის სახელით კომპარტიას გადაეცა წითელი დროშა. მიიღო რა დროშა, ამხ. ლუკაშინმა სთქვა:

„ჩვენ ვიღებთ ამ დროშას, რომელიც გვაკისრებს მეტად მძიმე მოვალეობას—საქმებით შევსწიროთ ჩვენი ძალები საბჭოთა ხელისუფლებას და რევოლიუციას, რომელსაც კომპარტია ხელმძღვანელობს“.

ყრილობის დეპეშები.

ერევანი. 25 ნოემბერი. მისასალმებელ დეპეშებში, რომლებიც ყოფილ დაშნაკელთა ყრილობამ გაუგზავნა ამხ. ლენინს, ტროცკის და ზინოვიევს, სხვათაშორის, ნათქვამია: „ჩვენ, სომხეთის 4,000 ყოფილ დაშნაკელთა წარმომადგენლები, გაბრწყინვებულნი ოქტომბრის რევოლიუციის სხივებით, დაშნაკცუტიუნის პარტიის ანტი-მშრომელთა პოლიტიკის საბოლოო გაკოტრების წინაშე მთელ ჩვენ ძალ ღონეს ვსწირავთ მსოფლიო პროლეტარულ რევოლიუციას და მის სამხედრო შტაბს—კომინტერნს. გაუმარჯოს კომინტერნს! გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას! გაუმარჯოს მსოფლიოს პროლეტარულ რევოლიუციას“.

პარტიული ცხოვრება

კომკავშირის ლეჩხუმის სამაზრო კომიტეტის მუშაობა ოქტომბერში

ორგანიზაციული მუშაობა. მაზრა დაყოფილია 4 რაიონათ. წევრთა რიცხვი ორგანიზაციაში უდრის 242. შემადგენლობა უმთავრესად ღარიბი გლეხობაა.

წამოიჭრა საკითხი ქვემო-სვანეთში მუშაობის დაწყებისა, მაზრის 5 რაიონათ დაყოფისა და სხვათა შესახებ.

აპარატი სამაზრო კომიტეტისა იმდენად ელასტიურია და მუშაობისთვის გამოსადეგი, რომ მეტ გადაჯგუფება-გადმოჯგუფებას არ საჭიროებს, მაგრამ ასე არ არის საქმე რაიონებში. იქ მხოლოდ რაიკომის მდივნები არიან ასე თუ ისე დამაკმაყოფილებელი მომზადებით და გამოცდილებით, რაიკომების დანარჩენი წევრების შესახებ ამის თქმა არ შეიძლება. ასე სუსტათ არის საქმე უჯრედების მდივნების შესახებ, უმთავრესად ისინი არიან შეუფერებელი და სუსტი თავის დანიშნულებისათვის. პარტია კავშირს საკმაო იდეიურ ხელმძღვანელობას უწევს, მატერიალურ დახმარებას კი ძალიან მცირეს. კავშირი ადგილებზე კავშირსა და პარტიის უჯრედებსა და რაიკომებს შორის ჯერ კიდევ მოისუსტებს. მუშაობაში ხელის შემშლელ პირობათ ჩაითვლება კავშირის წევრების მიერ მაზრიდან წასვლა საზამთროთ სამუშაოს საძებნად. მაზრა ერთხელ ჩამოვლილ იქნა და ყველა რაიონებში ჩატარდა უჯრედების მდივნების თათბირები. უჯრედების ბიუროების სისუსტის გამო, მიღებული ზომები 1-ნოემბრიდან ასეთების ხელახლად არჩევის შესახებ.

კავშირის გავლენა უპარტიო ახალგაზრდობაზე დიდია; ღარიბი გლეხური ახალგაზრდობისაგან შემოდის აუარებელია განცხადებები კავშირში მიღების შესახებ.

პოლიტაღმზრდელობითი მუშაობა

მუშაობის ეს დარგი ვერ არის ისე დაყენებული, როგორც საჭიროა რაც აიხსნება იმით, რომ არ არის საკმაო რაოდენობა პოლიტწრეებისათვის ხელმძღვანელებათ გამოსადეგ ძალებისა. პოლიტწრეების ხელმძღვანელებათ არიან უმთავრესად რაიკომის მდივნები, რომლებიც დატვირთული არიან კავშირის სხვა მუშაობით და ვერ ახერხებენ პოლიტწრეების მეცადინეობაზე სისტემატიურათ სიარულს. მაზრაში არსებობს 9-პოლიტწრე, ერთი მარქსისტული წრე და ერთიც კლუბი. მარქსისტული წრე დაარსდა ოქტომბერში მაზრის ცენტრში და მასში მეცადინეობენ მაზრკომის აქტიური მომუშავეები, რიცხვით 10-მდე.

მაზრკომის მხრით დიდი ყურადღება აქვს მიქცეული კავშირის წევრებ შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. დღემდე მაზრაში ითვლება 8-დე წერ.-კით. უცოდინარი კავშირის წევრი. კომკავშირს დღემდე არ ჰქონდა კლუბი, არც მისი შენობა, ეხლა კი სწარმოებს ყოფილი ეკლესიის კლუბად გადაკეთება. ვინაიდან სასწავლებლებში ოქტომბერში სწავლა დაწყებული არ იყო, ამიტომ არც მუშაობა სწარმოებდა მოწაფეთა შორის.

საანგარიშო თვეში მაზრაში გავრცელებული იქნა გაზეთი 311-ცალი, რჟეული 30 ცალი და წიგნი 68—ცალი.

მომავალი თვისათვის მაზრკომის ამოცანას პოლიტაღმზრდელობითი დარგში შეადგენს შემდეგი:

1) პოლიტწრეებში და მარქსისტულ წრეში მუშაობის გაძლიერება.

2) პროფკოლექტივის დაარსება მაზრის ცენტრში;

3) მოწაფეთა შორის მუშაობის წარმოება გაძლიერებული ტემპით,

4) მომზადება 20-ნოემბრის კამპანიის ჩასატარებლად.

კომკავშირელი.

ეკონომიური ცხოვრება

საქართველოს მეცხვარეთა ყრილობა

მაჩხაანი.

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან).

ქიზიყის ცენტრში, მაჩხაანში, მრავალი ხალხის დასწრებით გაიხსნა 25 ნოემბერს საქართველოს მეცხვარეთა ყრილობა, რომელზედაც გამოცხადდა 65 დელეგატი. დაესწრენ მახარაძე, დუმბაძე, ერქომაიშვილი. მოისმინეს მოხსენება მომენტზე მახარაძისა და გამგეობის ანგარიში. ყრილობა გაგრძელდება ორ დღეს.

ვალიუტის კურსი ტფილისში.

(26 ნოემბერი).

ჩერვონცები — — —	160,000
გირ. სტერლინგ. ეფექტ.	159,000
ჩეკები —	151,000
დოლარები ეფექტ. —	35,000
ჩეკები	33.000
ოსმ. ქაღ. ლირა	17.500
იტალიური ლირა	1060
ფრანგული ფრანკი	1590
საბჭ. ფულის ნიშნები	14

მაჩხაანის ფასები.

პური 1 ხარ.—800 ათ., პური 2 ხარ.—700, ძროხის ხორცი—1900 მ. ცხვრის ხორცი—2,300 ათ., ღორის ხორცი 3 მილ., ფხვნილი შაქარი—4860 ათ., შაქარი რაფინადი 3 მილ. ბრინჯი—1,575, კარტოფილი—200, მაკარონი—2,525.

ტფილისის ბაზრის ფასები.

პური 1 ხარ.—900—1 მილ., პური 2 ხარ—700 ათ., ძროხის ხორცი—2. ცხვრის ხორცი—2500, ღორის ხორცი—3 მილ., შაქარი რაფინადი--8500. ფხვნილი შაქარი—6 მილ. ბრინჯი—1600, კარტოფილი—300-350, მაკარონი—2600.

ბირჟის მიწოდება.

„ცენტრობუმტრესტ“-ის პროდუქცია, ლაგოდეხის თამბაქო 1 და 2 ხარ., რუს. „კოჟსინდიკატის“ პროდუქცია. ტყავის ღვედები, ბერტოლეტის მარილი, ლურსმნები, ფხვნილი შაქარი რუს. და იავის, შაბიამანი, კანიფოლი, ჩაი, რუს. მანუფაქტურა, ქიმიური ნაწარმოები, ფანჯრების შუშა, კაუსტიური სოდა, ასანთი რუს., საპონი, ოლიფას ზეთი, მზესუმზირას ზეთი, ცემენტი და ეტერნიტი, ელექტრო ტეხნიკური მასალა, ქვა-მარილი ნახიჩევ. ყუბანის ფქვილი (საკანდიტერო), საბზა, მაკარონი და ვერმიშელი უკრაინის 2 ხარ. რკინეულობა, ოზურგეთის ჩაი, მარაგანის საბზა, სპილენძი (წითელი).

ბირჟის მოთხოვნილება

ქიმიური ნაწარმოები. შაქარი რაფინადი და ფხვნილი რუს. ბერტოლეტის მარილი. რუს. ქაღ. მანუფაქტურა. ყუბანი ფქვილი. პორტლანდის ცემენტი. ტეხნიკური ცხიმი. ლურსმანი. ჩაი. ასანთი. ტყავის ღვედები.

ოფიციალური გარიგებანი

რუს. ასანთი „მეტეორ“ და ვოლკოვის—14 მ. 25 კ. ჩერვ. ყუთში, ფრანკო-გამყიდველის საწყობი აქციზის გადახდით.

რუს. მანუფაქტურა პრეისკურანტის ფასებში. ფხვნილი შაქარი იავის—11 მ. 20 კ ჩერვ. ფუთში ფრანკო—საბაჟო საწყობი ტფილისში.

საქონლის ბაზრის განწყობილება

ხორბლეულის ბაზარზე—მტკიცე, შაქრის ბაზარზე—ცოტა განცხოველება; ნედლეულის ბაზარზე (მატყლზე) მტკიცე. დანარჩენ ბაზრებზე განწყობილება უცვლელია.

ბირჟის გარეშე გარიგებანი

23 ნოემბერს ბირჟის გარეშე დადებულია 21 გარიგება, სულ 221,796 ჩერ. მან. თანხისა.

ვალიუტის ბაზრის განწყობილება.

ჩერვონცების და უცხო ვალიუტის კურსის დაცემა კვლავ გრძელდება.

ჩერვონცების და ამიერ-კავკასიის ბონების შეფარდება

ჩერვ.	ბონით	ჩერვ.	ბონით
1 კ.—	160.000,	60 კ.—	9.600.000
2 „—	320.000,	70 „—	11.200.000
3 „—	448 000,	80 „—	12.800.000
4 „—	640.000,	90 „—	14 400.000
5 „—	800 000,	1 მ.—	16.000 000
6 „—	960.000,	2 „—	32.000.000
7 „—	1.120 000,	3 „—	48 000 000
8 „—	1.280 000,	4 „—	64.000.000
9 „—	1.440 000,	5 „—	80.000.000
10 „—	1.600 000,	6 „—	96.000 000
20 „—	3 200 000,	7 „—	112 000.000
30 „—	4.800.000,	8 „—	128.000.000
40 „—	6.400.000,	9 „—	144.000.000
50 „—	8.000 000,	1 ჩერ.—	160 მილ.

პროფკავშირებში

ხელფასის ჩერვონცებით გამოანგარიშება

(ამხ. ყურულაშვილის მოხსენება საქ. პროფკავშირთა საბჭოს პრეზ. სხდომაზე)

ს. პ. კ. საბჭოს პრეზიდიუმის და კავშირთა ცენტრალურ გამგეობების მდივანთა შეერთებულმა სხდომამ მოისმინა ამხ. ყურულაშვილის ცნობა ხელფასის საკითხის გამომმუშავებელ კომისიის მუშაობის შესახებ.

ხელფასის საქონლის მანეთებიდან ჩერვონცების გამოანგარიშებაზე გადასასვლელად გამოყოფილი იქნა სპეციალური კომისია, რომელმაც თავის მუშაობის დასაწყისშივე გამოიტანა დადგენილება, რომ მუშების ან მოსამსახურეთა არც ერთი ჯგუფისათვის დაშვებული არ იქნეს ხელფასის შემცირება.

სხვადასხვა ჯგუფებისათვის ხელფასის რაოდენობის შესახებ საკითხის დაწვრილებით განხილვის შემდეგ, კომისიამ უკვე განსაზღვრა რამოდენიმე ჯგუფისათვის ხელფასის მინიმუმი ჩერვონცებით. ამავე დროს უნდა აღინიშნოს, რომ საქონლის ანგარიშის ჩერვონეცზე გადაყვანისას მხედველობაში იყო მიღებული ხელფასის რეალური რაოდენობა.

სახელმწიფო მომარაგებაზე მყოფთა პირველი ჯგუფი რეალურად ღებულობდა 2 მან. 70 კაპ. საქ. მანეთით, დაწესებული მინიმუმი უდრის 5 მან. 20 კაპ. ჩერვონცებით.

მეორე ჯგუფი ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა რეალურად ღებულობდა 4 მან. 70 კაპ. (საქონლის) ტფილისისათვის დაწესებული მინიმუმი უდრის 8 მან. 30 კაპ. ჩერვონცებით, დანარჩენი ადგილებისათვის 8 მანეთს,—1:8 შეფარდებით

მე-3 ჯგუფი რკინისგზელთა რეალურად ჩერვონცის ანგარიშით იღებდა ტფილისში 11 მანეთს, რ.-გზის ხაზზე 10 მანეთს. 24 ხარისხიან ქსელის 1:8 შეფარდებაზე გადასვლის შემდეგ, ტფილისისთვის კომისიამ დააწესა 10 მან. 25 კაპ. ჩერვონეცი, რ.-გზის ხაზისათვის —9 მანეთი.

ზემოხსენებული დადგენილება, პირველი სამი ჯგუფის გამოკლებით, საგრძნობლად ადიდებს შრომის ხელფასს.

4. **მილიცია**—იღებდა 8 საქონლის მანეთს, დაწესებულ იქნა 18 მანეთი ჩერვონეცი, ე. ი. მომატა 3 ჩერვონეცის მანეთი.

5. **ტეხნიკური მუშაკები**—პროფ. და პარტიულ ორგანიზაციების მიიღებენ ჩერვონეცის ანგარიშით 11 მანეთს 50 კაპ. (პირველი კატეგორია).

პასუხისმგებელი მუშაკნი. მიღებული იქნა 1 კატეგორიისთვის 19 მანეთი, მაგრამ ს. პ. კ. ს. სამდივნო აყენებს საკითხს საქონლისა და ჩერვონეცის ანგარიშ შორის ისეთ შეფარდების დაწესების შესახებ, რომელიც მიღებულია პროფ. და პარტიულ ორგანიზაციების ტეხნიკურ მუშაკთათვის განკვეთის განსაზღვრის დროს.

ს. პ. კ. ს. პრეზიდიუმის დადგენილება.

ამხ. ყურულაშვილის მოხსენება ცნობად იქნეს მიღებული.

ნაჩქარევად იქნას ცნობილი ხელფასის ჩერვონეცის ანგარიშზე გადაყვანა იმ დაწესებულებებში, სადაც კოლლექტიური ხელშეკრულება არის დადებული. წინადადება ეძლევათ ყველა კავშირებს საჩქაროთ გადასინჯონ საქონლის მანეთის ამ.-კავ. ბონებზე გადაყვანის წესი იმ მხრივ, რომ დაუახლოვონ იგი ხელფასის დარიგების მომენტს.

მედ.-სანიტ. მუშაკთა და განათლების დარგში მომუშავეთა მძიმე მატერიალური მდგომარეობის გამო, დადგენილ იქნა აღიძრას კითხვა ხსენებულ მუშაკთა ხელფასის მინიმუმის საჩქაროთ გადასინჯვის შესახებ მისი გადიდების მიზნით.

მეჭდავთა კავშირის სრულიად საქართველოს ყრილობა

მეორე სხდომა

უმუშევრობა მბეჭდავთა შორის.

უმუშევრობა მბეჭდავთა შორის ისე მწვავე არ არის, როგორც სხვა დარგის მუშაკთა შორის; იმ დროს, როცა მრავალი კავშირი ასობით და ათასობით დაითვლიდა კავშირის უმუშევარ წევრს, მბეჭდავთა კავშირის უმუშევარ წევრთა რაოდენობა რამოდენიმე ათეულს არ გადასცილებია.

1922 წლის აგვისტოში იყო 35 უმუშევარი, ამავე წლის სექტემბერში ამ რიცხვს არ მომატებია, ოქტომბერში—21, ნოემბერში—10, ხოლო დეკემბერში—8; 1923 წლის იანვარში—11, თებერვალში—17, მარტში—106, აპრილში—110, მაისში—74, ივნისში—76, ივლისში იგივე (76) დარჩა, აგვისტოში—48, სექტემბერში—21.

მოყვანილი ციფრები გვიჩვენებენ, რომ გასული წლის აგვისტოდან მიმდინარე წლის მარტამდე უმუშევრობა კლებულობს, რაც აიხსნება სამუშაოთა მოზღვავებით. მარტში უმუშევრობა კვლავ გაიზარდა, რაც გამოწვეული იყო სახელმწიფო ქაღალდის დამამზადებელი ექსპედიციის შტატის შემოკლებით, რომელიც შეეხო უმთავრესად არა ფიზიკური შრომის მუშაკებს. შემდეგ შტატს გარეშე დარჩენილი გადარიცხულ იქნენ საბჭოთა მუშაკების კავშირში სპეციალობის მიხედვით.

მარტამდე უმუშევრებს დახმარება ეძლეოდათ კავშირის ქონებიდან, მაგრამ უმუშევრების შემდეგმა ზრდამ აიძულა კავშირი შეექმნა უმუშევართა განსაკუთრებული ფონდი, რომლის სასარგებლოდ წევრებზე გატარებულ იქნა 1 პროცენტიანი ანარიცხის აკრეფა. ფონდის არსებობამ საშუალება მისცა კავშირს ეწარმოებია უმუშევართა რეგულიარული დახმარება.

მიმდინარე წლის აპრილიდან ვიდრე ოქტომბრამდე დახმარება მიეცა 316 უმუშევარს 3.126.578 მილიონი მანეთის რაოდენობით.

ამ საანგარიშო პერიოდში ჩატარებულ იქნა უმუშევართა წმინდა და ხელახალი აღრიცხვა, რასაც შედეგათ მოჰყვა უმუშევართა ზედმეტ ელემენტებისგან განტვირთვა.

სამაზრო ადგილკომების სატარიფო-ეკონომიური მუშაობა.

საჭიროა აღინიშნოს, რომ განყოფილება აწვდიდა სამაზრო ადგილკომებს მათ მიერ მოთხოვნილ მასალებს, ინსტრუქციებს და კოლექტ. ხელშეკრულებებს სახელმძღვანელოთ, აძლევდა განმარტებებს ძველი შეფარდებიდან ახალ შეფარდებაზე გადასვლის დროს და სხვა; მაგრამ მთავარ მუშაობას აწარმოებდენ თვით სამაზრო ადგილკომები, რომელთა შორის აღსანიშნავია ბათომის ადგილკომი, სადაც 108 წევრი ირიცხება. მას მოუხდა რამდენიმე სამეურნეო ორგანოსთან კოლექტ. ხელშეკრულების დადება. რაც შეეხება ქუთაისს, იქ ირიცხება 32 კაცი, ამდენივეა სოხუმში, ხოლო ფოთში არის სულ 6 კაცი. ამ ადგილკომებში მუშაობა უფრო ადვილი იყო, რადგან ადგილკომებს საქმე ჰქონდათ ერთ პირთან, ან ორგანოსთან.

მესამე სხდომა

კულტმუშაობა.

მეორე ყრილობის შემდეგ, როცა კოლექტ. ხელშეკრულების თანახმად სამეურნეო ორგანოებმა კულტ.-საგანმანათლებლო საჭიროებისთვის ანარიცხების შეტანა იწყეს, მუშაობა საკმაოდ გაცხოველდა; შესაძლებელი გახდა კლუბის და ბიბლიოთეკის გახსნა, მუშებისათვის სახელმძღვანელოების და ლიტერატურის მიწოდება და სხვა.

ამა წლის მაისიდან კულტგანყოფილება სახარჯთ-აღრიცხვო არსებობაზე გადავიდა და მუშაობამაც უფრო გეგმაშეწონილად სწარმოებს.

სასკოლო საკითხი, როგორც შარშან, ისე წელს მეტად მწვავედ სდგას. უადგილობის გამო ბავშვის მნიშვნელოვანი რიცხვი სკოლის გარეთ დარჩა. ასეთივე ბედი ეწვიათ სკოლის ჰასაკამდე მიუღწეველ ბავშვებსაც, რომელთა მცირე ნაწილი მხოლოდ მიღებულ იქნა საბავშვო ბაღებში. 9-14 წლიან ბავშვებისათვის ეს არის—ახლა გაიხსნა სკოლები, სადაც ყველა მიღებულ იქნა.

საერთოდ საანგარიშო პერიოდში საბავშვო ბაღებში, შრომისა და პროფ. სკოლებში გაგზავნილია 120 ბავშვი. მუსიკალურ სკოლაში იმყოფება 10 ბავშვი, რომელთაგან უფასო ვაკანსიაზეა ოთხი.

წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია არ დასჭირებია კავშირს, რადგან კავშირის წ. კ. უცოდინარი წევრი, ექვსი მოხუცის გამოკლებით, არ ჰყავდა; წ. კ. ცუდათ მცოდნენი იგზავნებოდენ პირველი საფეხურის სკოლებში, ხოლო საკუთარი სკოლა უსახსრობის გამო, კავშირს არ გაუხსნია.

მუშფაკებზე და უმაღლეს სასწავლებლებში გაგზავნილია 21 ფიზიკური შრომის ამხანაგი, რომელნიც მიუხედავათ იმისა ყოველდღიურად 8 საათის მუშაობა უხდებათ, მაინც განაგრძობენ მეცადინეობას და წარმატებას იჩენენ.

ახლად გახსნილი საერთო-საგანმანათლებლო კურსებზე, გაიგზავნა 25 ამხანაგი, რომელნიც მუშფაკზე ვერ მოხვდენ.

ჩვენ კავშირს ტფილისის უმაღლეს სასწავლებლებში დაეთმო 30 ადგილი, რომელიც სავსებით ვერ იქნა გამოყენებული, რადგან მბეჭდავთა შორის საშუალო განათლებით აღჭურვილი ამხანაგი ძალიან ნაკლებათ არის.

პროფტეხნიკური განათლება. ამჟამად პოლიგრაფიულ განყოფილების საზრუნავ საგნად ხდება. იგი უკვე შეუდგა სკოლის მოწყობას. სამეურნეო ხარჯებს და მოწაფეთა შენახვას კისრულობს პოლიგრაფ. განყოფილება, ხოლო სამასწავლებლო პერსონალისას, გან. სახკომი. სკოლა იქნება სამ წლიანი და გაატარებს კავშირის მიერ შემუშავებულ პროგრამას, რომლის უნაკლო შესრულება მოგვცემს აუცილებლად დახელოვნებულ ხელოსნებს.

ფიზიკ. კულტურა მბეჭდავთათვის, რომელნიც განსაკუთრებულ მავნე პირობებში უხდებათ მუშაობა, აუცილებელია, როგორც ჯანმრთელობის დაცვის საშუალება. ამ მიზნით მოწყობილი იქნა სასპორტო წრე გამოცდილი სპორტსმენის ხელმძღვანელობით; რადგან მსუბუქი ატლეტიკა მუშებს არ აკმაყოფილებს, განყოფილებამ გადასდო თანხა მძიმე ხელსაწყოების შესაძენად.

მუშათა ბავშვების ფიზიკური აღზრდისათვის მოეწყო „სპარტაკის“ კოლლექტივი, რომელიც 60 ბავშვს უყრის თავს. მათ შორის ინტენსიურ მუშაობას აწარმოებენ ახ. კომ. კავ. ინსტრუქტორები: კოლლექტივს აქვს ცალკე შენობა საგიმნასტო სავარჯიშოებით და საფეხბურთო ხელსაწყოებით.

საკლუბო მუშაობა ამა წლის იანვრამდე შენობის უქონლობის გამო მოისუსტებდა. იანვრიდან უკვე გამონახულ იქნა შენობა კლუბისათვის, რომელთანაც დაარსებულ იქნა სამი დრამატიული წრე (ქართული, რუსული და სომხური) და ერთიც მუსიკალური; საერთოდ 40 წევრი ჰყავთ და მეტად ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან.

მოკლე ხანში საერთოთ გაიმართა 25 წარმოდგენა, რომელსაც მუშები დიდი ხალისით ესწრებიან.

კლუბთან არის აგრეთვე წიგნთსაცავი სამკითხველო, რომელიც თანდათან ივსება, როგორც პროფესიონალური, ისე სოციალური და მხატვრული შინაარსის წიგნებით;—სულ სამკითხველოს აქვს 2128 წიგნი.

ექცევა აგრეთვე სათანადო ყურადღება ბიბლიოთეკების მოწყობას თვით წარმოებებთან; 6 წარმოებასთან უკვე არსებობს. გარდა ამისა კულტგანყოფილება ყიდულობს საჭირბოროტო პოლიტიკურ საკითხზე დაწერილ ბროშიურებს და უგზავნის მუშებს წასაკითხათ. სულ გავრცელებულ იქნა ამ საანგარიშო პერიოდში, 990 სხვა და სხვა სახელწოდების წიგნი ბროშიურა, ჟურნალი და სხვა.

წითელ ჯარში

ბრძანება

ქართულ მსროლელ დივიზიის პოლიტ-განყოფილებისა

24 ნოემბერი 1923 წ., ქ. თბილისი.

რამოდენიმე ხნის უკან მომხდარ სანიტარულ საათების გამოცდამ გამოაშკარავა, რომ სანიტარული საგანმანათლებლო მუშაობა მთელს დივიზიაში ვერ არის დაყენებული სათანადო სიმაღლეზე, როგორც ორგანიზაციულ, ისე მეთოდიურ დარგში. რომ დივიზიაში სანიტარულ საგანმანათლებლო მუშაობას მიეცეს ორგანიზაციული და მეთოდიურად სწორად დაყენების სახე, ამისათვის ვბრძანებ:

1. სანიტარული საათი, თანახმად ა/წ. 16 იანვრის ბრძანებისა № 7 გატარდეს ყველა სამხედრო ერთეულებში კვირაში ერთი საათით პოლიტ-საათის დროს.

2. იმ ნაწილებში, სადაც სანიტარული საათი მიდის ათასეულების, ან მთელ ლეგიონის საერთო კრებაზე სასწრაფოდ იქნას უარყოფილი და გატარებული გუნდებში, ესკადრონებში და ბატარეებში.

3. ნაწილების უფროს ექიმებს წინადადებას ვაძლევ, რათა იმავე ნაწილის მედ-პერსონალთან აწარმოონ მეცადინეობა სან-საათის მომავალ სამეცადინეო თემის გადამუშავების მიზნით, რომ აღნიშნულმა პერსონალმა შესძლოს სანიტ-საათზე ბაასის წარმოება გუნდებში.

შენიშვნა: მცირე ნაწილების ექიმებმა სამეცადინო თემა შეითვისონ დამოუკიდებლივ იმ შემთხვევაში, თუ დიდ ნაწილების უფროს ექიმებთან შეუძლებელია კავშირის დაჭერა.

4 წითელარმიელთა ფართო მასისათვის სანიტარული თემების ადვილად შესათვისებლად მეცადინეობა უნდა იწარმოოს ბაასის სახით, ნაცვლად ლექციონურისა.

5. მიიღეთ ზომები, რათა ბაასი მიმდინარეობდეს უბრალო და გასაგები ენით წითელ მოლაშქრეებისათვის და არა უცხო სიტყვების ხმარებით, რომელიც შეიძლება ქართულ ენით გადაიცემა.

6. მიაღწიეთ იმას, რომ ბაასმა, გადაცემული თემები სრულიად შეათვისებინოს მოლაშქრეებს. შეუთვისებლობის შემთხვევაში გაიმეოროთ მეორე მეცადინეობაზე იგივე თემა.

7. შემოიღეთ პრაქტიკული ცდების და მაგალითების ჩვენება ბაასის დროს, სადაც კი მოსახერხებელია.

8. შეადგინეთ ყოველთვიური მუშაობის კალენდარული ცხრილი და გაატარეთ ნაწილის ბრძანებაში პოლიტ-საათის პროგრამასთან ერთად. ასლი ცხრილისა გადმოგზავნეთ პოლიტ-განყოფილებაში და დივიზიის უფროს ექიმთან და სამხკომთან.

9. აწარმოეთ ყოველდღიური აღრიცხვა მეცადინეობაზე დამსწრე წითელარმიელების.

10. დივიზიის უფროს ექიმს და სამხედრო კომისარს წინადადებას ვაძლევ: რათა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება სანიტარული საათის ორგანიზაციულად და მეთოდიურად დაყენების საქმეს დივიზიაში.

11. მოწვეულ იქნას დივიზიის უფროს ექიმის ხელმძღვანელობით ყოველთვიურათ, ტფილისის გარნიზონში მდგომ ქართულ ნაწილების მედ-პერსონალის საინსტრუქტორო თათბირი, სადაც გადამუშავებულ და გაშუქებულ იქნას მომავალ თვის სამეცადინეო პროგრამები და მისი მეთოდები.

12. სანიტარულ ნაწილმა მოაწყოს ინსცენიროვკები და გასამართლებები შეძლებისდაგვარად, დივიზიის სხვადასხვა ნაწილებში სანიტარულ-საგანმანათლებლო ხასიათის.

13. დაჭერილ იქნას მჭიდრო კავშირი პოლიტ-განყოფილების სააგიტაციო-საპროპაგანდო ნაწილთან მუშაობის გეგმით და სისტემატიურ წარმოებისათვის.

14. დივიზიის ექიმმა მიიღოს ხელმძღვანელობა, რათა გაზეთ „წითელარმიელში“ პერიოდულად თავსდებოდეს სხვადასხვა სტატიები სანიტარულ-საგანმანათლებლო დარგის.

15. ნაწილების სამხედრო კომისრებს წინადადებას ვაძლევ, რათა მიაქციონ შესაფერისი ყურადღება სანიტარულ საათზე წითელარმიელების სისტემატიურად დასწრებას.

თუ რა ზომები იქნება მიღებული მიმხსენდეს სასწრაფო პატაკის წესით და თვიურ მოხსენებაში გაშუქებით.

ქართულ დივიზიის სამხედრო კომისარი და პოლიტ-განყოფილების უფროსი თენგიზ ჟღენტი.

სააგიტაციო-საპროპაგანდო ნაწ. უფროსი ს. ზახაძე.

საბჭოთა სასამართლოში

გელენიძის საქმე.

25 ნოემბერს ნაძალადევის კლუბში აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლომ გაარჩია გელენიძის და როსინოვის საქმე.

მხარეების კამათი და სასამართლო კვლევა-ძიება გაგრძელდა დილის 12 საათიდან ღამის 6 საათამდე.

სასამართლომ დამნაშავეთ სცნო გელენიძე და მიუსაჯა მას 7 წლის ციხე. ხოლო როსინოვს, რომელსაც ბრალად ედება მარია სულიკაშვილის გაუპატიურება, მიუსაჯა სასამართლომ 5 წლის ციხე.

საჩივარი „ბირლიქ“-ის გამგეობის წინააღმდეგ.

26 ნოემბერს შრომის სასამართლოში ამხ. გაბაევის თავმჯდომარეობით მოსმენილ იქნა მოსამსახურე ხუხუნაშვილის მიერ წარდგენილი საჩივარი საზოგადოების წინააღმდეგ. მომჩივანი მსახურობდა საზოგადოების რწმუნებულის თანამდებობაზე და ღებულობდა თვიურად 150 მანეთს. მან მოისურვა სამსახურისათვის თავის დანებება და აღძრა საკითხი მისთვის ანგარიშის გასწორების შესახებ, მაგრამ საზოგადოების გამგეობამ მას ანგარიში არ გაუსწორა.

სასამართლოში საზოგადოების წარმომადგენელი ილაშქრებს საჩივრის წინააღმდეგ და ამტკიცებს, რომ საზოგადოების რწმუნებულს, მისი მუშაობის შედეგების მიხედვით, არაფერი არ ეკუთვნის. სასამართლოს გადაწყვეტილება გამოცხადდება ხვალ.

ტატოსოვის საქმე.

დღეისათვის აღმოსავლეთ-საქართველოს საოლქო სასამართლოში, ამხ. ნასარიძის თავმჯდომარეობით, დანიშნულია მარიამ ტატოსოვის საქმის გარჩევა. უკანასკნელს ბრალად ედება „მაჭანკლობა“.

ოლ. კანაცკის საქმე.

29 ნოემბერს აღმოს. საქ. საოლქო სასამართლო გაარჩევს ოლ. კანაცკის საქმეს. მას ბრალი ედება ზინაიდა თხინვალელის გაუპატიურებაში სასამართლოს თავმჯდომარეობს ამხ. ნასარიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშათა ცხოვრება

მუშა-მგოსანის გიგო ხეჩუაშვილის იუბილე

შაბათს, 24 ნოემბერს, გაზეთ „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე შესდგა მუშა-მგოსანის, „კომუნისტი“-ს მუშკორის გიგო ხეჩუაშვილის 25 წლის მოღვაწეობის იუბილეს მომწყობ კომისიის სხდომა, რომელზედაც არჩეულ იქნენ პრეზიდიუმი, კომისიის საპატიო თავმჯდომარეები და ტეხნიკური კომისია. პრეზიდიუმში ერთხმად არჩეულ არიან ამხ. იოსებ იმედაშვილი—თავმჯდომარედ, ამხ. მანდრიცკი—მის ამხანაგად და ქ. გულიაშვილი—მდივნად; საპატიო თავმჯდომარეებად არჩეული არიან ამხ. ამხ. ყურულაშვილი, ლადო დუმბაძე, ლადო სუხიშვილი, განათლების სახალხო კომისარი დ. კანდელაკი, ვანო ბოლქვაძე, პროლეტარულ მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე ამხ. სანდრო ქურიძე, სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირის თავმჯდომარე მაყაშვილი და ზაქარია ჭიჭინაძე.

ტეხნიკურ კომისიაში არჩეულ არიან ამხ. პ. ახალკაცი, ტრ. კორძაია და ბეჭდვითი საქმის მუშაკთა კავშირის მდივანი ამხ. ნიკიტინი.

შემდეგი სხდომა კომისიისა დანიშნულია დღეს, 27 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, გაზ. „კომუნისტი“-ს რედაქციის ბინაზე (რუსთავ. პროსპ. 24—მეორე სართულში).

პრეზიდიუმის მდივანი, სტამბის მუშა ქ.

ფხიზლად ამხ. მუშებო!

(ცენტროტრამოტას რკ. გზის განყოფ. მტვირთველ მუშების საყურადღებოდ).

საქართველოს რკ. გზებზე ყოველგვარი დატვირთვა-გადმოტვირთვის ოპერაციის გასაცემად შეჯიბრების დღე ახლოვდება. ამ დღისათვის წარმოების და მუშების ინტერესების მტრები შეეცდებიან მუშების სწორი გზიდან გადახვევას და წარმოებაზე ხელის აღებას, რაც შექმნის ხელახლა მტვირთველ მუშებში უმწეო ეკონომიურ მდგომარეობას.

დღეს „ცენტროტრამოტის“ მუშების ეკონომიური მდგომარეობა საგრძნობლად გაუმჯობესებულია და მუშებიც გულმოდგინედ მუშაობენ.

ამხ. მუშებო! მოგიწოდებთ, დაიცვათ კვლავ ერთსულოვნება. გახსოვდეთ, რომ შეცდომების შემდეგი გამოსწორება ძნელი იქნება; მხარი დაუჭირეთ თქვენს წარმოებას, რათა არ მისცეთ ვინმეს საშუალება, რომ თქვენი ძალები იქნას დაქსაქსული; თვალ ყური ადევნეთ, რათა თქვენს რიგებშიც არ გამოჩნდნენ მუშური ინტერესების ორგულნი და მოღალატენი, რომლებიც საჩქაროდ უნდა იქნან ჩვენი კავშირიდან განწმენდილნი.

მაშ, ფხიზლად იყავით ამხანაგო მუშებო! და თქვენ რიგებში ნულარ დაუშვებთ თქვენს ფარულ მტრებს!

საქართველოს ტრანსპორტის მუშათა **კავშირის პრეზიდიუმი.**

მეტი ყურადღება მუშათა სახლებს

ტატიანის ქუჩაზე არის მუშათა სახლი № 4. სახლი აღებულია მელითონეთა კავშირის მიერ და 25 ოჯახი ამავე მელითონე მუშებისა სცხოვრობს შიგ. დასახელებული სახლი ძალიან კარგი ხარისხისაა. მხოლოდ მოუვლელობის გამო მისი სახურავი ალაგ-ალაგ გაფუჭებულია და ზოგიერთ მუშა-მდგმურებს წვიმა ჩამოსდისთ. თუმცა გასულ წელს აღმასკომის მიერ ეს გაფუჭებული ალაგები შეკეთებულ იქნა, მაგრამ ისე უხეიროდ, რომ 15 დღის შემდეგ წვიმა მაინც ჩამოვიდა.

დღეს ეს სახლი, ისე, როგორც სხვა მუშათა სახლები, მუშათა საბინაო კოოპერატივის განკარგულებაშია.

უკანასკნელმა უნდა მიიღოს ზომები, სანამ ცოტაია სახლი დაზიანებული და კიდევ შეიძლება მისი შეკეთება. თორემ ძალიან რომ გაფუჭდება, შემდეგ უსაღსრობის გამო სრულებით შეუძლებელი გახდება ეს საქმე და მუშების სახლი განადგურდება. ჩვენი მუშები ქუჩებში დარჩებიან.

მუშკორი ჩხმელი.

აღმასკომის ადგილკომი მუშაობს

თუ ჩვენ გვინდა შევინარჩუნოთ დიდი რევოლიუციის მონაპოვარი მთელი თავისი სიდიადით, უნდა ერთხელ და სამუდამოთ შევიგნოთ, **რომ ის, რასაც ქვიან საერთო საქმე, არის პირადი თვითეული ჩვენთაგანის საქმე.**

ის წარმოებები, რომლებიც უწინ კერძო პირების ხელში იყო და ათასობით მოგებას იძლეოდა, ეხლა სამწუხაროდ დეფიციტს იძლევა. მიზეზი ამისა კი ჩვენი გულგრილობაა საერთო საქმისადმი. თვითეულ ჩვენთაგანს შეუძლია გააკეთოს მეორისათვის სასარგებლო საქმე, თუ მას ამის სურვილი ექნება. ავიღოთ, მაგალითისათვის, აღმასკომის ადგილკომი, რომელიც მთელი თავის ენერგიით ემსახურება ჩვენი მუშების ინტერესებს. მას სურს თავისი წვლილი შეიტანოს საერთო საქმეში და შრომობს იმისათვის, რომ მუშა-მოსამსახურენი მჭიდროთ შეაკავშიროს ერთმანეთთან და უზრუნველჰყოს ისინი მატერიალურ მხრით, ჩვენ ადგილკომის მიერ წინდაწინ იქნა მიღებული ზომები, რათა თანამშრომლებისათვის მას დროზე მიეწოდებინა შეშა. ის თანამშრომლები, რომელთაც ჯერ შეშა არ მიუღიათ, დაკმაყოფილებული იქმნებიან ამ დღეებში, მშვენიერი პური ყუბანის წმინდა ფქვილიდან დამზადებული დაკლებულ ფასებში ურიგდებათ ჩვენს თანამშრომლებს 200—300 ათას მანეთამდე—ჯამაგირის ანგარიშში.

საექიმო დახმარებაც თავის დონეზე სდგას. ადგილკომს გამოწერილი აქვს სამკითხველოსათვის ყველა ადგილობრივი გაზეთები.

ადგილკომთან არსებობს კარგი ბიბლიოთეკა, საიდანაც თანამშრომლებს შეუძლიათ ისარგებლონ წიგნებით. განზრახული იყო ორშაბათობით უფასო ლექციების მოწყობა აღმასკომის დარბაზში, სადაც წაკითხული იქნება ორი ლექცია ექიმ ლომაურის მიერ ადამიანის გაჯანსაღების შესახებ, რისთვისაც თანამშრომლები გულითად მადლობას უძღვნიან ლექტორს.

დარაჯები და შიკრიკები თავის დროზე ღებულობენ „სპეც-ტანისამოსს“, და ამ მხრივ ისინი სრულიად უზრუნველყოფილი არიან. თითქმის ყველა თანამშრომლები ჩაწერილი არიან საურთიერთო დამხმარე კასაში, რომლითაც ისინი სარგებლობენ საჭიროებისდაგვარად.

აგრეთვე თანამშრომლები სარგებლობენ „რ. ს. ფ. ს. რ. საფეიქრო სინდიკატი“-თ ფრიად ხელსაყრელ პირობებში. ყველა ეს ადგილკომის მუშაობის ნაყოფია. სალამი მას და კიდევ მეტი ნაყოფიერება მის მოქმედებას!

მუშკორი გ—ძე.

როგორ შეხვდნენ ამხანაგ ბუდიონის რკინისგზელები.

ა. | წ. 21 ნოემბერს, რკინისგზის მთავარ სახელოსნოში მუშა-მოსამსახურეებმა, დაახლოებით 5.000 კაცმა, თავი მოიყარეს ამხ. ბუდიონის შესახვედრათ. მალე გამოჩნდა ის ამხანაგიც, რომლის დანახვას ყოველი მუშა მოულოდნელად ელოდებოდა. აი ამხ. ბუდიონიც უკვე ესტუმრა სახელოსნოს. ხალხი უცებ აღმაღრდა და განუწყვეტელ „ვაშა“-ს ძახილით თავის სახელოვან სარდალს მიეგება. კრებაზედ თავმჯდომარეობდა—ამხ. კაჩეტკოვი. პირველი სიტყვა წარმოსთქვა ამხ. ბუდიონმა. ის ფართოდ შეეხო და დაახასიათა მნიშვნელობა წითელი ლაშქრისა და მის გამაგრება-გაძლიერებისა. მომხსენებელმა უსურვა მუშებს გამარჯვება მსოფლიო მტრებზე. შემდეგ ილაპარაკა ამხ. სერგო ორჯონიკიძემ; მან დახასიათა ბუდიონი, როგორც სახელოვანი თავდადებული წითელი სარდალი და უსურვა მუშებს, რომ ასეთი ბუდიონები თვით ქარხნებშიც ყოველივე დარგებში ყოფილიყვნენ. შემდეგ მუშების სახელით ლაპარაკობს ამხ. ვარლამოვი, რომელიც ფიცსა სდებს ამხ. ბუდიონის წინაშე, რომ ჩვენი მუშები გვერდზე უდგანან მას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვენ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. შემდეგ კრება ღებულობს სათანადო რეზოლიუციას. ამხ. ბუდიონის ვიზიტით დიდათ კმაყოფილნი დარჩნენ ჩვენი მუშები, ყველას სახეზე ეტყობოდა სიხარული და ის დიდი ოვაციებით გააცილეს მუშებმა.

მუშკორი ა. უმ—ძე.

არც ერთი მუშა—შრომის ბირჟის გარეშე

(შრომის ინსპექციის საყურადღებოდ)

ყოფილ „რაზიეზჟაია“ ქუჩაზე № 4-ში არის მოთავსებული მოქ. ნ. ბერიშვილის სასადილო. აქ რამოდენიმე მუშა არის მიღებული შრომის ბირჟის გარეშე. რასაკვირველია, კარგია, როცა მალე იშოვი სამსახურს, მაგრამ ნუ თუ ამ მუშებმა არ იციან, როგორ უშლიან ისინი ამით ხელს საერთო საქმეს. შევხედოთ ამ საქმეს ასე; როცა სასადილოს პატრონი ხედავს, რომ მუშა არ არის წევრი პროფკავშირის და მასთან მიღებულია შრომის ბირჟის გარეშე, ის თავს გრძნობს თავისუფლად და ექცევა მათ ისე, როგორც ეს მას მოესურვება. მაგალითად, თუ „ხაზეინმა“ იცის, რომ მისი მუშა არ არის პროფკავშირის წევრი, მაშინ მას აძლევს ჯამაგირს სულ მცირეს, რათა თვითონ მეტი მოიგოს, ეპყრობა მას ისე, როგორც მას უკარნახებს მისი კერძო ინტერესები და კაპრიზი; როდესაც მოისურვებს, სამსახურიდანაც დაითხოვს და არავის წინ პასუხსაც არ აგებს. ამ პირობებში მუშა ღვთის ანაბარად რჩება, ვინაიდან მას ვერავინ ჰყავს დამცველი და ყოველივე ეს კი შედეგია ზოგიერთ შეუგნებელი მუშების მიერ შექმნილ გარემოებისავე. დროა ამ გარემოებას მოეღოს ბოლო.

წითელი.

ჰიდრო-ელექტრონის სადგური მდ. აბაშაზე

(სენაკის მაზრა)

უკვე ხორცს ისხამს ის, რაც ამ უკანასკნელ ერთი წლის განმავლობაში სენაკის მაზრის აღმასკომის სანუკვარ საგანს შეადგენდა. ეს არის მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკვლის ჩაყრა. მდ. აბაშა თავისი იშვიათი ჩანჩქერებით, დ. მარტვილიდან 3 ვერსის მანძილზე (წყალი ვარდება 15 საჟ. სიმაღლიდან) დიდი ხნიდან იპყრობდა რუსეთის და საზღვარ გარეთულ კაპიტალისტების ყურადღებას, როგორც ისეთი ადგილი, სადაც ცოტა შრომით და ხარჯით შესაძლებელი იყო გაკეთებულიყო ძლიერი ჰიდრო-ელექტრონის სადგური. რუსეთის სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს ცენტრალურ რაიონის ელექტრო-ტრესტის წარმომადგენლები ინჟ. ლოსევი და მინასიანი, რომლებმაც დაათვალიერეს ეს ადგილი, გაოცებაში მოვიდნენ და განაცხადეს: „ბუნებას გაუკეთებია სამი მეოთხედი იმისა, რაც საჭიროა ჰიდრო-სადგურის მოსაწყობად; ჩვენ დაგვრჩენია მხოლოთ ერთი მეოთხედის გაკეთება და სადგური მზათ იქნებაო“. მიუხედავათ იმისა, რომ ხშირი სიარულით, ადგილის დათვალიერებით, გეგმის შესადგენათ კვლევა-ძიების მოხდენით ადგილობრივ მცხოვრებლებს თავი მოაბეზრეს სხვა და სხვა დროს სხვადასხვა ინჟენრებმა,—ვერც თვითმპყრობელურმა და ვერც „დემოკრატიულმა“ მთავრობამ ამ საქმეს საძირკველი ვერ ჩაუყარა. აზრი მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენებისა სენაკის სამაზრო აღმასკომს დაებადა მაშინ, როცა მან შესძლო, მაზრაში მტკიცე და მოქნილი აპარატის შექმნის შემდეგ, შესდგომოდა ფართო აღმშენებლობას.

პირველად ეს საკითხი მან დასვა საბჭოების სამაზრო საგანგებო ყრილობაზე 1922 წ. ნოემბერს. ყრილობა აღტაცებით შეხვდა დასმულ საკითხს და გამოიტანა დადგენილება, რომლითაც ის ავალებდა აღმასკომს შესდგომოდა ამ დიდ საქმეს. ყრილობა სთხოვდა აგრეთვე საქართველოს და ა. კ. მთავრობას დახმარებას ამ საქმეში.

ყრილობამ დაარსა სამაზრო კომიტეტი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის ფონდის შესაქმნელად და გამოუშვა მაზრის მშრომელ გლეხ-კაცობისადმი სათანადო მოწოდება.

საქართველოს და ა. კ. მთავრობები თანაგრძნობით შეხვდნენ სენაკის მაზრის აღმასკომის განზრახვას და გამოიტანეს დადგენილება, რომლითაც ისინი საჭიროთ სცნობენ მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურის აშენებას და ფინანსიური დახმარების აღმოჩენასაც.

ა. კ. სახალხო კომისართა საბჭომ კიდეც გადასდო ამ საქმისათვის პირველ რიგში 10,000 მან. ოქროთი.

ამის შემდეგ სამაზრო აღმასკომი შეუდგა დაწვრილებითი გეგმის და ხარჯთ-აღრიცხვის შედგენას, ა | კ. წყალშენის (ЗАКВОДХОЗ) საშუალებით. ა. | წ. სეკტემბრისათვის დამზადებულ იქნა გეგმა და ხარჯთ აღრიცხვა.

საჭირო იყო კიდევ მთავრობის დასტური მუშაობის დასაწყებად, რაც სამაზრო აღმასკომმა მიიღო მიმდინარე თვის შუა რიცხვებში. ზეიმი ჰიდრო-ელექტრონის სადგურის საძირკვლის ჩაყრის გამო სამაზრო აღმასკომმა დაუკავშირა საბჭოების სამაზრო მეორე ყრილობას. ყრილობა გაიხსნება ქ. ახალსენაკში 30 ნოემბერს; 29 ნოემბერს კი სენაკის მაზრის მშრომელი მასა მდ. აბაშის ჩანჩქერებზე იზეიმებს სადგურის საძირკვლის ჩაყრას.

საძირკველი ეყრება დიდ საქმეს; საძირკველი ეყრება მთელი მაზრის გლეხ-კაცობის განათლების და კეთილდღეობის საქმეს.

ეს დღე არ შეიძლება არ ჩაითვალოს ისტორიულ დღეთ მაზრის გლეხობისათვის.

29 ნოემბერი ოქროს ასოებით აღიბეჭდება სენაკის მაზრის მშრომელი გლეხ-კაცობის ცხოვრების ისტორიის ფურცლებზე.

მთელი მაზრის გლეხ-კაცობა ფეხზე დგას და უსაზღვრო სიხარულით ელის ამ დიადი დღის განათებას.

რამდენიმე ათასი მშრომელი გლეხი ამ დღეს გამოცხადდება მდ. აბაშის ჩანჩქერებზე ბარით და ნიჩბით, რომ საკუთარი ხელით საძირკველი ჩაუყაროს იმ დიად საქმეს.

მთელი მაზრის გლეხ-კაცობა ასეთივე სიხარულით ელის თბილისიდან ჩვენს ბელადებს, ჩვენს ხელმძღვანელებს, ჩვენს ძვირფასს ამხანაგებს, რომ მან გაიგონოს მათი სიტყვა საბჭოთა ხელისუფლების ამოცანების შესახებ აღმშენებლობის დარგში და გულითადი მადლობა მიუძღვნას მათ ყურადღება-ზრუნვისათვის მშრომელი მასის საკეთილდღეოთ.

29 ნოემბერს საძირკველი ეყრება მდ. აბაშაზე ჰიდრო-ელექტრონის სადგურს. გაუმარჯოს მას!

გაუმარჯოს ელექტრონის სინათლეს და ენერგიას!

გაუმარჯოს საბჭოთა ხელისუფლებას!

ხ. მაჩულია.

ამინდი ამიერ-კავკასიაში

25 ნოემბერი დილის 7 საათი

ტემპერატ. (ცელსით): სოხუმი—11 გრ., ფოთი—10 გრ., ბათომი—10 გ., სამტრედია—12 გრად. ქუთაისი—11 გ., აჯამეთი — 10 გრ., ჭიათურა—9 გრ., წიფა—7 გრ., ბორჯომი—4 გრად., სურამი—7 გრად., ტფილისი—11 გრ., მუკუზანი—4 გრ., ერევანი—2 გრ., ბაქო—10 გრ.

ღრუბლიანობა: მოწმენდილია ბორჯომში და ბათომში. სულ მცირე; ფოთში და ბაქოში. მნიშვნელოვანი: სამტრედიაში, ქუთაისში, ტფილისში, ერევანში. ძლიერი: სოხუმში, სურამში. სრული: აჯამეთში, ჭიათურაში, წიფაში, მუკუზანში.

ქარის ქროლა: სოხუმში - ჩრდილოეთის, მსუბუქი; ბათომში—სამხრეთის, მსუბუქი. ტფილისში—ჩრდილოეთის, მსუბუქი; ბაქოში—ჩრდილოეთ-დასავლეთის, მსუბუქი. დანარჩენ ადგილებში ნელი ან სულ სიწყნარეა.

წვიმები: საგრძნობი—ფოთში, ქუთაისში, წიფაში, სურამში; უმნიშვნელო—ბათომში, აჯამეთში, ჭიათურაში, ბორჯომში.

ზღვის მდგომარეობა ნაპირებთან: ფოთში—ოდნავ ღელავს, ბათომში, ბაქოში (ლენქორანი), დაწყნარებულია.

ამინდი საქართველოში:

ცვალებადი ღრუბლიანობა, ტემპერატურის აწევა, ალაგ-ალაგ წვიმები.

ჩრდილოეთ კავკასიაში

(25 ნოემბერი დილის 7 საათი)

ვლადიკავკაზი: ტემპერატურა—7 გრ., ღრუბლიანობა—სრული, ქარი არ ქრის.

კიზლიარი. ტემპერატურა—1 გრ., ღრუბლიანობა—სულ მცირე, ქარის ქროლა—აღმოსავლეთის, მიმართულებით, წყნარი.

ტფილისი

26 ნოემბერი, დღის 1 საათი.

ტემპერატურა: 14 გრ.

ღრუბლიანობა: 10 (მსუბუქი).

ქარის ქროლა: ჩრდილოეთის, ძლიერ წყნარი.

ამინდის ცვლილება: 27 ნოემბერს მოსალოდნელია ცვალებადი ღრუბლიანობა, მშრალი.

ქრონიკა

— ჰიდრო-ელექტრონის სადგური მდ. აბაშაზე ა | წ. 29 ნოემბერს მოხდა სენაკის მაზრაში, მდ. აბაშის ჩანჩქერებზე, დ. მარტვილის ახლოს, ჰიდრო ელექტრონის სადგურის საძირკვლის საზეიმო ჩაყრა. ამავე დღეს გაიხსნება მარტვილში სახალხო სახლი, ამხ. ა. გეგეჭკორის სახელობაზე. ზეიმში მონაწილეობას მიიღებენ კომპარტიის, კომკავშირის და პროფკავშირის მარტვილის რაიონის წევრები, აგრეთვე მთელი რაიონის გლეხ-კაცობა, მოსწავლე ახალგაზრდობა და გლეხების წარმომადგენლები მაზრის ყოველი თემიდან.

ზეიმზე მოწვეულ არიან ტფილისიდან შემდეგი ამხანაგები: მ. ცხაკაია, ს. ორჯონიკიძე, მ. ორახელაშვილი, ა. მიასნიკოვი, შ. ელიავა, ბ. ლომინაძე, ა. გეგეჭკორი და სხვები.

— დახმარება უმუშევრებს. შრომის ბირჟას დაევალა მიიღოს ზომები უახლოეს ორშაბათს ყველა თეატრებსა და კინოებში გამართოს სანიმუშო წარმოდგენები უმუშევართა დამხმარე ფონდის გასაძლიერებლათ.

— საბჭოს არჩევნები ასურეთის რაიონში. ასურეთის რაიონში სოფლის საბჭოებში არჩეულ იქნა სულ 75 წევრი, აქედან 12 კომუნისტი, 18 თანამგზავრი, 40 უპარტიო, 5 კომკავშირის წევრი. ამავე საბჭოებმა ტფილისის საბჭოში ამოირჩიეს 1 დელეგატი და 2 კანდიდატი.

— სამუშაო დროის განსაზღვრის შესახებ. შრ. სახ. კომისარიატმა განმარტების სახით დაადგინა: რომ შრომის კანონთა კოდექსის 95 მუხლი, რომელიც ეხება სამუშაო დროის განსაზღვრას, არ ვრცელდება პასუხისმგებელ მუშაკებსა და სპეცებზე.

— სოფ. ხაშმში წყალსადენის მოწყობა. ქ. აღმასკომმა დაადგინა გაგზავნოს სპეციალური კომისია სოფ. ხაშმში ადგილობრივ წყალსადენის აგების პირობების გამოსარკვევათ და ხარჯთ-აღრიცხვის შესადგენათ.

— ახალი ინსტრუქციები პროვინციის შრომის ორგანოებს. შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით შრომის ინსტრუქტორები მივლინებულნი იქნებიან ქუთაისსა, ბათომსა, ჭიათურასა, სოხუმსა და ფოთში ადგილობრივ შრომის ორგანოების დასათვალიერებლათ და სათანადო ახალ ინსტრუქციების მისაცემათ.

— პროცენტული ანარიცხები. დამზღ. კასის პრეზიდიუმმა დაადგინა: შუამდგომლობით მიმართოს საქ. პროფკავშირთა საბჭოს, რომ დამზღვევ კასაში შეტანილ პროცენტული ანარიცხები არ იქნეს დაკლებული.

— თავისუფალი დაქირავების წინაამდეგ. შრ. სახ. კომისარიატმა შრომის დაცვის განყოფილებას დაავალა, საჩხედრო დაწესება წარმოებებში თავისუფალი დაქირავების წესით აყვანილ მომუშავეთა შრომის პირობების გაუმჯობესების მიზნით, შეაგროვოს სათანადო მასალები და საკითხი მოაგვაროს უმაღლეს ორგანოების საშუალებით.

— გლეხთა საურთიერთო ფონდების გაძლიერება. სიღნაღის მაზრის მოლოხაპის თემის მთავრობამ საურთიერთო დამხმარე კომიტეტთან არსებულ ფონდების გასაძლიერებლად შეიტანა 800 ფ. ხორბალი. ამავე მაზრის ს. ბაისუბანის გლეხობამ შეიტანა 1700 ფ. ხორბალი.

— საქართველოს სამხედრო გზა. საქართველოს სამხედრო გზა უკვე შეკეთდა საფუძვლიანად. გზა ახლო ხანში გადაეცემა გზათა კომისარიატის რწმუნებულს გზაზე მოძრაობის აღსადგენათ.

— აპარატების განმარტივება. შრ. სახ. კომისარიატის დადგენილებით, ადგილობრივ შრომის ორგანოების აპარატების განმარტივების მიზნით —ახალციხესა და ოზურგეთში შრომის ინსპექტორების მოვალეობის ასრულება დაეკისრა ადგილობრივ დამზღვევი კასების თავმჯდომარეებს.

— ტანისამოსის დამმზადებელი არტელი. ტფ. არსებული ტანისამოსის დამმზადებელი არტელი, რომელსაც ჰყავს 40 წევრი გადავიდა შრომის ბირჟის კომიტეტის განკარგულებაში.

— უმუშევართა მოძრაობა. 24 ნოემბერს უმუშევართა აღრიცხვა არ ყოფილა. ახლად ჩაეწერა—9 უმუშევარი. სამუშაოზე გაიგზავნა—24 კაცი

— შეცდომის გასწორება. გაზ. კომუნისტის № 272-ის ქრონიკაში სწერია: „შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს დადგენილების პროექტი, რათა შრომის კანონების დარღვევისათვის აღებული ჯარიმათა მთელი თანხა გადადებულ იქნას მუშათა დასასვენებელ სახლების და მოზარდ უმუშევართა სახლის შესანახ ფონდის გასაძლიერებლად“—უნდა იყოს „შრომის დაცვის განყოფილებას დაევალა შეიმუშაოს გეგმა შრომის კანონების დარღვევისათვის აღებულ ჯარიმათა მთელი თანხის შრომის დაცვის და შრომის ბირჟის საჭიროებისა და მუშათა დასასვენებელ სახლებისა და მოზარდ უმუშევართა სახლების შესანახ ფონდებათ დანაწილების შესახებ.

შემთხვევები.

ცეცხლი. 23 ნოემბერს, საღამოს 5 საათზე, მოქ. პორფირე თოფურიას ბინას (ტერ-გუკასოვის ქ. № 10) გაუჩნდა ცეცხლი, რომელიც ცეცხლისმქრობელი რაზმის მიერ ჩქარა იქნა ჩაქრალი. ზარალი უმნიშვნელოა.

ქურდობა. 23 ნოემბერს გაქურდული იქნა კონსერვატორ ფლალოვის ბინა (კამუჩევის ქ. № 23). წაღებულია 4 მილიარდის ნივთები.

თავის მოწამვლა. 23 ნოემბერს საღამოს 4 საათზე (ჩერქ. ქ. № 147) თავი მოიწამლა სულემით მოქ. სონია კალატოზოვისამ. მიზეზი თავის მოწამვლის გამოურკვეველია.

ბინის გაქურდვა. 23 ნოემბერს გაქურდული იქნა მოქ. მარიამ ბარტინის ბინა (კირილოვის ქ. № 1) წაღებულია რამოდენიმე მილიარდის ნივთები.

ქურდის შეპყრობა. 22 ნოემბერს შეპყრობილ იქნა მოქ. ლეონიდ იანუშევსკი, რომელსაც ბრალი ედება სხვადასხვა ქურდობაში.

ბოროტმოქმედთა შეპყრობა. 22 ნოემბერს შეპყრობილ იქნენ რომა მარკოვსკი და ოგანიანცი, რომელთაც ბრალი ედებათ ნაქურდალ ნივთების ყიდვა-გაყიდვაში.

ხელოვნება

სახელმწიფო აკადემიური დრამა

დ. კლდიაშვილის პიესების წარმოდგენა.

ხუთშაბათს, 22 ნოემბერს, წარმოდგენილ იქნა დ. კლდიაშვილის თითო მოქმედებიანი სცენები: „ირინეს ბედნიერება“, „დარისპანის გასაჭირი“ და „უბედურება“.

დ. კლდიაშვილს საკმაო სახელი და პატივისცემა აქვს მოპოვებული მთელ ქართველ საზოგადოებაში. მისი სცენები წარმოადგენენ ერთგვარ სარკეს იმერეთის ცხოვრების სინამდვილისას.

მისი ეს პატარა სცენები ცოცხალი დასურათხატებაა ამ სინამდვილისა. მათში ვერა ნახავთ დრამითა და ტრაგიზმით გადაკვანძულ პიროვნებათ, რომელნიც ჰქმნიან ინდივიდუალურ სირთულესა და ძლიერებას პიესაში. იქ ხელის გულივით არის გადაშლილი იმერეთის ცხოვრება. იმერეთის ხალხი სადათა და მკერდმოღეღილათ არის იქ გამოყვანილი მთელი თავისი სიავკარგით.

ამ ნაწარმოებთ თითქმის ყველა იცნობს ან მოთხრობებისა და ან პიესების სახით. ალბათ ამისი მიზეზია, რომ ხუთშაბათის წარმოდგენას ხალხი ძალიან ნაკლებათ დაესწრო.

თამაშობის მხრივ დიდათ აღსანიშნავი არაფერია.

სცენებში არ არის არც ერთი საძნელო როლი, რომ მისი შესრულება მოითხოვდეს განსაკუთრებულ ნიჭს. ესენი არიან იმერეთის ყოველდღიურ ცხოვრებიდან გამოყვანილი პირები. მსახიობნიც თითქმის ყველა იმერლები იყვნენ და გასაკვირიც არაფერია, რომ თავიანთი როლები შეასრულეს სულ ჩვეულებრივად.

მაინც უკანასკნელმა სცენამ „უბედურობამ“ უფრო უკეთესად ჩაიარა და მაყურებელ საზოგადოებაშიც მან დაიმსახურა ტაშის დაკვრა.

ზამთრის პირველ სუსხსა ვგრძნობდით—სცენის ფარდა აიხდებოდა თუ არა. თუ ჩვენმა მსახიობებმა კარგათ გადაიტანეს მთელი სეზონის განმავლობაში ეს სიცივე, შემდეგ ისე გამოიკვეთებიან, რომ პოლიუსებზე მოგზაურობაში თვით კუკისა და პირსაც კი გაუსწრებენ.

დუდუ.

— ილია ჭავჭავაძისეული მამული. სრულიად საქართველოს მწერალთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე, რათა მას ილია ჭავჭავაძისეული მამული იჯარით გადაეცეს.

— ახალი რომანი. შალვა დადიანმა დაასრულა რომანი „უბედური რუსი“. რომანი ახლო ხანში გამოვა ცალკე წიგნათ.

— ეგ. ნინოშვილის ნაწერები. იბეჭდება და ახლო ხანში გამოვა ეგ. ნინოშვილის ყველა ნაწერები რამდენიმე ტომად. წიგნები დასურათებული იქნება და დართული ექნება აგრეთვე კრიტიკული წერილები და ავტორის ვრცელი ბიოგრაფია.

— წითელარმიელთა კლუბი. წითელარმიელთა კლუბში ქართული წარმოდგენების მართვა დაიწყება 1 დეკემბრიდან. კვირაში წავა ორი წარმოდგენა. რეპერტუარი შედგენილი იქნება რევოლიუციონური პიესებიდან.

— მსახიობთა იუბილეები. მსახიობთა კავშირმა დაადგინა გადაუხადოს იუბილეები მსახიობ ნიკო გოცირიძეს 30 წლის სცენაზე მოღვაწეობის აღსანიშნავათ და ტასო აბაშიძეს—25 წლის აღსანიშნავათ.

დღეს თეატრებში

— რუსთაველის თეატრი. „ინტერესთა თამაში“.

— სახელმწიფო ოპერა. „სოფლის პატიოსნება“ და „თქმულება შოთა რუსთაველზე“.

— სახალხო სახლი. „დაძირული ზარი“ რუსულად.

პროვინციაში

დროა საქმე დავასრულოთ!

ჩვენს პრესაში ერთ ერთხელ აღნიშნული, რომ შუხუთის თემმა (გურია) ამ 22 წლის წინეთ დაიწყო სასკოლო შენობის აგება, რომელმაც მოითხოვა დიდი ხარჯების გაწევა. შენობა ჯერაც დასრულებული არ არის და კიდევ დიდ ენერგიას და თავდადებულ მუშაობას მოითხოვს. თემის აღმასკომმა ამას მიაქცია ყურადღება და მიზნათ დაისახა ამ დიდი საქმის დასრულება. საჭიროა გამოეხმაურონ შუხუთელი ამხანაგების მოწოდებას და გაუწიონ დახმარება სასკოლო შენობის აგების საქმეში.

ჩვენ, ტფილისში მომუშავე შუხუთელ ამხანაგებს, შემოგვაქვს რა თითო-თითო ჩერვონცი სკოლის ასაგებ ფონდში, ჩვენის მხრივ ვიწვევთ შემდეგ ამხანაგებს: პარმენ ცინცაძეს, კოლ. ცინცაძეს, ბ. ცინცაძეს (ტფილისი), კოწ. ნიშნიანიძეს, ნოე ბზეკალავას, ევგენი გვარჯალაძეს, ვლადიმერ ასკურავას, პავლე ბ. ორაგველიძეს (ბათომი), გიორგი მახარაძეს, ანდრო დოლიძეს, თედორე დოლიძეს, გრიგოლ მგალობლიშვილს, თეოფილე ჩიჩუას, კოლია ბარამიძეს, სამსონ იმნაიშვილს, სანდრო დიმ. ორაგველიძეს, (ოზურგეთი), იულო და კონსტანტინე ცინცაძეებს, დიმიტრი წილოსანს, იაკინთე კალანდარიშვილს, ევგენი იბრაიძეს, სოლომონ დოლიძეს, პეტრე მიქაძეს, (ლანჩხუთი) სანდრო ბ. იმნაიშვილს, ნიკიტა იმნაიშვილს, ივანე ას. ორაგველიძეს, კოწია ჟორდანიას, მათე გვარჯალაძეს, გიორგი ლომაძეს, ალექსანდრე მელ. ორაგველიძეს, ალექსანდრე ლავ. ორაგველიძეს, პოლიევქტ, ნოე და ივანე აფხაძეებს, სოლომონ და გიორგი ჯაბ. ფირცხალაიშვილებს, კასიანე და მარო ჩხაიძეებს, აპოლონ იმნაიშვილს, ლუკა ორაგველიძეს, გრიგოლ ფირცხალაიშვილს, ფილიპე ფირცხალაიშვილს, არსენ იმნაიშვილს, გიორგი იმნაიშვილს, თამარა მარგიანს, სონია მახარაძისას (შუხუთიდან).

ამხანაგებს და მოქალაქეებს უფლება ეძლევათ შემოიტანონ ერთ ჩერვონეცზე მეტიც. დახმარება მიიღება: ტფილისში - კ. ორაგველიძესთან, ბათომში—ნოე ბზეკალავასთან, ოზურგეთში—გიორგი მახარაძესთან, შუხუთში და ლანჩხუთში—ივანე აფხაიძესთან. ვინც ამ გამოწვევას არ გამოეხმაურება, იმათი სახელი და გვარი გამოქვეყნებული იქნება გაზეთში.

კ. ორაგველიძე, ალ. ბზეკალავა.

კავშირი სოფელთან

სახ. გამომცემლობის პროფ. კავშირმა ამ კავშირის კომუჯრედის მეთაურობით აიღო კულტ. მზრუნველობა სოფელ წალასყურზე. ეს სოფელი მდებარეობს თელეთის თემში, ტფილისიდან 15 ვერსის დაშორებით. მოსალოდნელი იყო, რომ სოფელი, როგორც ცენტრთან დაახლოვებული, კულტურულათ შედარებით მაღლა იდგომებოდა, მაგრამ, სამწუხაროთ, სულ წინააღმდეგი ვნახეთ. სოფელი შესდგება 80 კომლისაგან. მთელ სოფელში ორმა-სამმა კაცმა თუ იცის წერა-კითხვა. სოფელს ჯერ არ ჰქონია სკოლის შენობა. სამზრუნველო კომისიამ, რომელიც გაგზავნილი იყო კვების კავშირის მიერ, სოფელში აღმოაჩინა ნახევრად დანგრეული სახლი ყოფ. მემამულეებისა. კომისია შეუდგა ამ სახლის შეკეთებას. და დღეს სოფ. წალასყურს მშვენიერი, ლამაზი სკოლის შენობა აქვს, სადაც ეტევა 70 ბავშვი. ისეთი ღარიბი კავშირისთვის, როგორიცაა კვების კავშირი, ძნელი იყო ერთბაშათ ორას-სამასი მანეთის გაღება სკოლის მოსაწყობათ მაგრამ უამისოდ ჩვენ ვერ დავარწმუნებდით წალასყურელებს ჩვენს კეთილ სურვილებში. დღეს კი გლეხობა მადლობელია. იმ სოფელში, სადაც 500 სულში ორმა სამმა იცის წერა-კითხვა დღეს კავშირის ხელმძღვანელობით და მეთაურობით სწავლობს 70 მოწაფე. ჩვენ იმედი გვაქვს, ახლო მომავალში სოფ. წალასყურს ეყოლება არა სამი წერა-კითხვის მცოდნე, არამედ სამოცდაათამეტი. ჩვენ ამაში დარწმუნებული ვართ, ვინაიდან სკოლის გამგის ენერგია და უნარიანობა ამას საბუთს გვაძლევს. დღეს წალასყურელი გლეხი, იჭვის თვალით როდი გვიყურებს. ის უკვე ხედავს ქალაქის მუშაში თავის ერთგულ ამხანაგს და მეგობარს. ვუსურვებთ სახ. გამომცემლობათა კავშირის კომუჯრედს უფრო მეტ ენერგიას ამ საქმეში.

მუშკორი გაიოზი.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 70

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმისა.

სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღებისათვის გამოცემული დადგენილების მე-2 მუხლის შეფარდების შესახებ.

რადგან შემჩნეულია, რომ სხვადასხვანაირად განმარტავენ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის „სამოქალაქო კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შესახებ“ გამოცემული დადგენილების მეორე მუხლს, სადაც ნათქვამია, რომ „არავითარი დავა იმ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობის გამო, რომელიც წარმოიშვა 1921 წლის თებერვლის 25-მდე, არ მიიღება განსახილველად რესპუბლიკის სასამართლო ან სხვა დაწესებულების მიერ“, ამიტომ სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი ადგენს: სწორ და უცილობელ სახელმძღვანელოდ განიმარტოს შემდეგი:

1. სიტყვები „არ მიიღება განსახილველად“ გულისხმობს არა მარტო ახალ დავას, საჩივარს, მოდავეთა მიერ ახლად გამოტანილს, არამედ იმ დავასაც, რომელიც დღემდეა განცხადებული. ამიტომაც დავას, საჩივარს, რომელსაც საფუძვლად უდევს 1921 წლის თებერვლის 25-მდე წარმოშობილი სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობა, რესპუბლიკის დაწესებულებანი ვერ განიხილავენ იმის მიუხედავად, რა დროსაც უნდა იყოს იგი აღძრული.

2. მაგრამ, ამასთანავე, საჭიროა მხედველობაში მიღებულ იქნეს, რომ დავა, რომელიც შეიძლება გამომდინარეობდეს იმ სამოქალაქო უფლებრივი ურთიერთობიდან, რაც, თუმცა 1921 წლის 25 თებერვლამდეა წარმოშობილი, მაგრამ მაინც განაგრძობს განხორციელებას (მაგალითად, უფლებრივი ურთიერთობა, გამომდინარე ამხანაგობის ხელშეკრულებიდან, საერთო საკუთრებიდან და სხვ.), არ უდგება აღნიშნულ მეორე მუხლის მოქმედებას იმიტომ, რომ ასეთი უფლებრივი ურთიერთობა, როგორც განაგრძობი, ჩაითვლება მხარეთა მიერ განახლებულად საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგაც, უკეთუ, რასაკვირველია, ასეთი უფლებრივი ურთიერთობა არ გაუუქმებია სამოქალაქო კოდექსსა და, საზოგადოდ, ახალ სახელმწიფოებრივ წყობილებას, ან, უკეთუ იგი არ დაფარულა საჩივლის ხანდაზმულობით.

3. ამა მუხლის მოქმედებას არ უდგება ისეთი საქმე, რომლის გამოც გადაწყვეტილება კანონიერ ძალაშია უკვე შესული.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე მ. ცხაკაია.

იუსტიციის სახალხო კომისარი ვარძიელი.

სრულიად საქართველოს საბჭოთა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი პ. საბაშვილი.

1923 წ. ნოემბრის 22.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

საოლქო და სამაზრო სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებათა

გამგეების თათბირი

გაიხსნება დღეს, 27 ნოემბერს, დილის 10 საათზე, ცენტრალურ პარტ.-სკოლის შენობაში (რტიშჩევისა და ბებუთოვის ქუჩების კუთხე).

საქ. კომ. პარტიის ცენტრ. კომიტეტის სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილება.

განათლების მუშაკთა სახლში.

— ხუთშაბათს, 29 ნოემბერს, საღ. 6 საათ. შესდგება საბავშვო ბაღების ხელმძღვანელთა საორგანიზაციო კრება.

რაიადგილკომებს წინადადება ეძლევა ფართოთ აცნობონ ამის შესახებ საბავშვო ბაღებს.

— ოთხშაბათს, 28 ნოემბერს, საღ. 7 საათ. გ. ნათაძის ლექცია საზოგადო მეტყველებაში.

— შაბათს 1 დეკემბერს საღ. 5 საათ. პროფ. თვალჭრელიძის ხელმძღვანელობით პრაქტიკული მეცადინეობა მინერალოგიაში.

საღ. 8 საათ. ამხ. რებრუხის მოხსენება: მე-100 სკოლის ზაფხულის მუშაობის ცდა.

საღ. 6 საათზე გალობისა და მუსიკის მასწავლებელთა წრის სხდომა: 1) გალობისა და მუსიკის პროგრამის გარჩევა. 2) გ. ნ. მუშ. სახ. მუსიკალური სალამოების მოწყობა.

საღ. 7 საათზე ამხ. არუთინოვის ხელმძღვანელობით პოლიტეკონომიის წრეში მეცადინეობა.

სახ. გამგე შიუკაშვილი.

საქმეთა მმართველი ბარამიძე.

განცხადებები

ანტონ ესტატეს ძე ბეჟოევი და ირაკლი ივანის ძე სიმონიშვილი მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და მეგობრებს, რომ 25 ნოემბერს გარდაიცვალა დედა პირველისა და მეუღლე მეორისა

ნინა ესტატეს ასული

სიმონიშვილისა.

გასვენება მოხდება სამშაბათს, 27 ნოემბერს, სამ საათზე რკინის გზის საავადმყოფოდან.

187—1—1

მეუღლე მარიამ ერმალოზის ასული, შვილებით: სიმონ გრიგოლისძე მეუღლით, ეკატერინე გრიგოლის ასული მეუღლით, რძალი ელენე მერაბის ასული და შვილიშვილი ალექსანდრეს ძე წულუკიძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ

გიგო წულუკიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ხუთშაბათს, ნოემბრის 29 ქ. ხონში.

188—2—1

სახელმწიფო

ოპერა

დღეს, 27 ნოემბერს,

1

სოფლის პატიოსნება

2

თქმულება შოთა რუსთაველზე.

ოთხშაბათს, 28 ნოემბერს,

მეფის საცოლე.

ნის. 744—3 2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენის დარბაზით

მიხეილ გედევანიშვილის სახლებში

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის—რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ.

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ჟიჟიძის** ხელმძღვანელობით. ტფილისი, ჟორდანოვის ქ. № 20. (126—25—15)

დაკარგე მოწმობა № 3291 კატეგორია 1—ლი სამხედრო სამსახურისაგან განთავისუფლების შესახებ, მოცემული სამხედრო კომისარიატიდან მიხეილ სოლომონის ძე ქუთათელაძის სახელზე. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. 1—1 №188

დაკარგე ჯანმრთელობის კომისარიატის აღრიცხვის ბარათი. ჩაითვალოს გაუქმებულად. პარმენ ლორთქიფანიძე.

დაკარგე ნუსხა და პირადობის მოწმობა, მოცემული ქუთაისის მილიციის უფროსისგან. გთხოვთ ჩასთვალოთ გაუქმებულად. ანდრო პეტრეს ძე ფალაქიშვილი. 1—1 №746

„ვოსტოკის“ სტამბა სახ. წულუკიძის ქ. № 4.